# ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲘ

თფილისი. კვირა, 10 (23) სექტემბერი. 1906. წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 5 კაპ.

№ 2 ყოველ-დღიური გაზეთი. № 2


ერევნის გუბერნიაში კვლავ სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა ატყდა.— ამირალოვის სახლის გაჩხრეკის დროს ყუთიდან ყუმბარამ იფეთქა, მოკლულ იქმნა ორი მჩხრეკელთაგანი. დაიჭრნენ სალდათები.— დღეშებს ახალ-ახალ მკვლელობა-ძარცვა გლეჯის ამბები მოაქვს.— პეტერბურგის უნივერსიტეტში ლექციების კითხვა დაიწყო.

---


ალექსი, იასონ, ელპიტი თევზაძეები, ტერეზია, მაინჯე, რაფიელ, გრიგოლ და არჩილ რამიშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და ნაცნობთ გადაცვალებას პირველი საყვარელი ცოლისას, მეორე ცოლის დისას, მესამე დისას და დანარჩენი დისას

ბაბულინა თევზაძისას.

ცხედარს დაკრძალვენ ენკენისთვის 10-ს, კვირას, პირველ საათზე, წმ. ნინოს სასაფლაოზე. პეტკოვის ქ., საკუთარი სახლი, ნაძალადევი. 2—1.

თავ. ანემპოდისტო იესეს ძე და კნეინა სოფიო ქვარასტის ასული მაჩაბლება აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ თორმეტს ამა ენკენისთვეს დღით, სამშაბათს დ. საჩხერეში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მათის უდროოთ გარდაცვალებულის ასულის

თინათინა წერეთლის

სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

კოლა მიხეილის ძე წერეთელი აუწყებს ნაცნობთ და ნათესავთ, რომ 12 ამა ენკენისთვეს, დღით, სამშაბათს დაბა საჩხერეში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მისის ძვირფასი და დაუვიწყარ მეუღლის

თინათინ ანემპოდისტოს მაჩაბლის ასულის წერეთლის

სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყება დილის ათ საათზე.

ესმა, ნადეჟდა, ბარნაბ, ლუბა, შალვა, აკაკი და ერუსლან არდიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ გარდაცვალებას პირველის ძვირფასი მეუღლისა, ძმისა და სიმამრისა

ამბაკო პეტრეს ძე პაპავასი

დ. ჭიათურაში 6 ენკენისთვეს. გამოსვენება იქნება 7 ენკენისთვეს საღამოს 6 საათზე ჭიათურიდან სამტრედიაში. დაკრძალვა მოხდება 11 ენკენისთვეს დაბა სამტრედიაში.

[illegible]

ვილემ საქერავს

ქალების კაბებს, ბავშვების ტანისამოსს და ყოველგვარ თეთრეულს,

ძლიერ იაფ ფასებში.

ვაგზლის ქუჩა სახლი სლივიცკის № 10. 6—1


### მთავრობის საარჩევნო სამზადისი.

თუ ვინიცობაა მთავრობამ „რეფორმებით“ და რეპრესიებით მშვიდობიანობა ვერ ჩამოაგდო და მით თვისი შერყეული მდგომარეობა ვერ განამტკიცა, მას ყოველ შემთხვევისათვის „ზაპასათ“ შემონახული აქვს დუმის მოწვევა. ეჭვი არ არის, მთავრობა იმედოვნებს, რომ თავისი დღევანდელი პოლიტიკის შემწეობით უდუმოთაც იოლათ წავა, დააკმაყოფილებს და დაამშვიდებს ხალხს, აღარ დასჭირდება დუმის მოწვევა და ამით მისგან მოსალოდნელ ხიფათსაც თავიდან აიშორებს. მაგრამ ვინ იცის, „ეშმაკს თვალით არ უჩანს“, ისიც სულ ადვილი შესაძლებელია, რომ მთავრობამ ველარც თავისი „რეფორმებით“ ველარავის აუხვიოს თვალი, ის კი არა და, იქნებ ამ რეფორმების აუცილებელ ფუქსავატობით საკუთარი ფუქსავატობაც ყველას კიდევ უფრო აშკარათ დაანახოს; და ველარც თავისი რეპრესიებით ველარავინ დაამშვიდოს, ის კი არა და, იქნებ მათი მეოხებით ხალხი კიდევ უარესათ გააბრაზოს, კიდევ უარესათ აამხედროს თვის წინააღმდეგ. ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამაში მთავრობა მალე დარწმუნდება, ის მალე დაინახავს, რომ მისი ასეთი მოქმედების მეოხებით მის წინააღმდეგ აზვირთდება გაცილებით უფრო ფართო ხალხის ზღვა, მაზე ეს ხალხი გაცილებით უფრო მედგარ და მრისხანე იერიშს მიიტანს, ვინემ ეს აქამდე მომხდარა როდისმე. ამის თავდებია განსაკუთრებით რუსეთის გლეხკაცობის მღელვარების თანდათანი ზრდა, ბრძოლის ველზე მისი სულ უფრო გაბედულათ და თან სულ უფრო შეგნებულათ გამოსვლა.

აი ასეთი შემთხვევისათვის მთავრობას „ზაპასათ“ შემონახული აქვს დუმის მოწვევა. მაგრამ დუმის მოწვევას თავიდან ვერ აიშორებს ის ვერც იმ შემთხვევაში, კიდეც რომ ხალხმა შედარებით წყნარათ განაგრძოს ცხოვრება, მაგრამ მთავრობისადმი მორჩილება კი მაინც არ მოისურვოს,—ამ შემთხვევაშიაც მთავრობა ვერ აიშორებს დუმის მოწვევას, რადგან მისი მდგომარეობა კვლავ შერყეული და ძირ-გამოთხრილი დარჩება, მისი ბედი სულ უფრო ბეწვზე დაეკიდება, ვინაიდან ხალხის „ურჩობის“ გამო სახსრებო სახსარი სულ უფრო შემოელევა.

მთავრობას გათვალისწინებული აქვს ყველა ეს მოსალოდნელი შემთხვევები, მათთან ერთათ დუმის მოწვევის შესაძლებელი აუცილებლობაც და მას ბუნებრივათ კითხვა ებადება: არ შეიძლება ახლა მაინც მოწვეულ იქნას ისეთი დუმა, რომელიც არა თუ, წინანდელ დუმასავით, უარეს საფრთხეში აღარ ჩააგდებს მას, არამედ, პირიქით, განამტკიცებს მის მდგომარეობას. მთავრობას წამს, რომ მოახერხებს ასეთი დუმის მოწვევას. მისი აზრით, თუ წინანდელი დუმა „კრამოლნიკებისაგან“ შესდგა, ეს მხოლოდ მისი დაუდევრობის ბრალი იყო: მან, მთავრობამ, ჯეროვანი მონაწილეობა არ მიიღო დუმის არჩევნებში და საზოგადოთ შესაფერი ზომები არ იხმარა სასურველი დუმის შესადგენათ.

აი ასეთი გამოცდილებით განსწავლული მთავრობა ცდილობს „შეცთომა“ აღარ გაიმეოროს და აქედანვე შეუდგა სამზადისს სასურველი დუმის შედგენის უზრუნველსაყოფლათ. სწორეთ ამ მიზნით ის ერთი მხრით შესდგომია საარჩევნო სისტემისა და კანონის შესაფერათ შეცვლას, მეორე მხრით კი საარჩევნო კამპანიის შესაფერ პირობებში ჩაყენებას. პირველ შემთხვევაში მას განზრახვა თურმე აქვს შემოიღოს ან საყოველთაო ან მაღალ-ცენზიანი საარჩევნო უფლება და სხ. მეორე შემთხვევაში კი ის ცდილობს ფართო საარჩევნო აგიტაციის საშვალება მოუსპოს ყველა პროგრესიულ პარტიებს და სამაგიეროთ ასეთი საშვალება სავსებით უზრუნველ ყოს რეაქციონურ პარტიებისათვის. აი ამ მოსაზრებით მთავრებით აქედანვე კრიჭაში ჩაუდგა და ცდილობს გასაქანი არ მისცეს პროგრესიულ პარტიებს, სასტიკათ დევნის და მოქმედებას უკრძალავს არა მარტო აშკარა რევოლიუციონურ პარტიებს, არამედ ზოგიერთ ლიბერალურ პარტიასაც კი, და ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მთავრობის დღევანდელი დამოკიდებულება ეგრეთ წოდებულ კადეტთა პარტიასთან.

ვინ არ იცის, თუ როგორ, დღემდე მაინც, საფრთხობელასავით გაურბოდენ კადეტები ყოველგვარ რევოლიუციონურ მოქმედებას, ისინი, არა თუ მთავრობას, მთელ ქვეყანას მუდამ ყურებს უჭედდენ, რომ მათ არა წამთ რევოლიუციონური გზით მოქმედება და რომ ერთათ-ერთი გზა ქვეყნის განსაახლებლათ—ეს ლეგალური, კანონიერი მოქმედების გზაა. მუდამ ასე გაიძახოდენ ეს „სწავლული“ ლიბერალები და საქმითაც მუდამ ასე მოქმედებდენ, თუ, რასაკვირველია, მხედველობაში არ მივიღებთ ერთ-ორ შემთხვევას, როდესაც ისინი ძალაუნებურათ იძულებული იყვნენ რევოლიუციონური ნაბიჯი გადაედგათ, როგორიც, მაგ., ვიბორგის მანიფესტის გამოცემა იყონ, ასეთი შემთხვევა მათ მოქმედებაში გამონაკლს შეადგენდა და მათ საზოგადო ტაქტიკაში, მათი მოქმედების სისტემაში ცვლილება არ შეჰქონდა, ისინი კვლავ ლეგალური მოქმედების გზაზე სვლას განაგრძობდენ.

აი ყოველივე ამის მიუხედავათ დღეს

---


ამხანაგებო და მოქალაქენო!

ორბელიანის შემდეგ „ირაკლის“ აბანოსხაზეინებმაც დააკმაყოფილეს მუშების მოთხოვნილებანი და ამიტომ ბოიკოტი ავხსენით.

გრძელდება ბოიკოტი:

სუმბათოვების და ბებუთოვების აბანოებზე. დანარჩენ აბანოების პატრონებმა მუშების მოთხოვნები დააკმაყოფილეს, ამიტომ მათ აბანოებზე ბოიკოტი ახსნილია.

თფილისის აბანოების გაფიცვის ბიურო.


## ფელეტონი

—:—

### სამშობლოს ბურჯნი.

2 მოქმედებიანი სცენები

(დასასრული *).

#### მოქმედება მეორე.

მეორე მოქმედება სწარმოებს იმავ საღამოს. ფარდაც აიხდება იმავე ოთახში. მარჯვნივ, ავანსცენისკენ, ელენე კუშეტკაზე ხელების შლით და სიცილით ჩუმათ რაღასაც უამბობს სალომეს. შუაში, სტოლთან, ლუარსაბი კრესლოში ზის და გაზეთს კითხულობს ხმა-დაბლა: „გოფმეისტერ... ანნა... ტრეტი სტეპენი...“ და სხვა. თან ახველებს და კვნესის, რაზედაც სალომე იღრიჯება. მარცხნივ, ფანჯრისკენ, შაქრო ულვაშების გრეხით ემუსაიფება ნინას, რომელიც ბავშვივით ხტის და იცინის. ცოტა მოშორებით ფეფო ეპრანჭება და ეგრიხება ქაიხოსროს. სცენის სიღრმეში, როიალთან, გიორგი ჯანსუღაძე თამროს ელაპარაკება, თან სიყვარულით უმზერს, სალომე ჩუმ-ჩუმათ თვალს ადევნებს ამათ და უსიამოვნების ნიშნათ წარბებს კუმავს.

#### გამოსვლა პირველი.

ელენე, სალომე, ლუარსაბი, შაქრო, ნინა, ქაიხოსრო, ფეფო, თამრო და გიორგი ჯანსუღაძე.

სალომე. (უსიამოვნოთ) ნეტა სად არიან აქამდინა, რას იგვიანებენ? „ბალი“ ხო არა მაქვს, რომ თორმეტ საათზე მოვიდენ!

ელენე. ხა, ხა, ხა! სალომე ჯავრობს! А знаешь, къ тебѣ идетъ, когда ты сердишся!

სალომე. უბედურობაა, ღმერთმანი, ეს კრებები და სამადლო საქმეები!

ელენე. მეც მინდა ერთი „благотворительный „ბაზარი“ გავმართო და არ ვიცი, რის სასარგებლოთ? „Красный крестъ“ теперь ужъ не въ модѣ!

სალომე. არას გამართავ—გემდურებიან: „დიდკაცებს საშშობლო არ გიყვართო, არაფრით ეწევითო...“ გამართავ და უარესი! ვის არ გინდა ხელი უნდა ჩამოართვა, გაულიმო, სახლში მიიღო...

ელენე. („გრიმასით“) да, да, ужасно! ზოგმა რიგიანი სალამი არც კი იცის! იმ დღეს ერთი ვიღაც „ბლუზიანი“ სტუდენტი გამაცნეს... (ზიზღით) весь обтрепанный засаленный!—замѣчательно, რო ყველა სოციალისტი საშინელი ჭუჭყიანია! კინაღამ მკლავი მომტეხა! ხა, ხა, ხა! господа, საქმე სწავლა ხო არ არი,—ყველა „მუჟიკი“ ეხლა უნივერსიტეტს ათავებს! главное, воспитаніе воспитаніе! ბონ-ტონ, манеры, лоскъ...

სალომე. მეც მაგ აზრისა ვარ, სულ მაგას ვიძახი!

ლუარსაბი. აბა, კიდეც ისწავლო... რევთ... მაგ უბედურებსა!.. როცა... წიგნი... სამაგათოც... გახდა... მაშინ... დაილუპა... ქვეყანა!

სალომე. (დაცინვით) გაზეთებშიაც რო სწერენ, ხმ!.. ეხლა ვინ ჯლაბნის! ვისი ხელ წამოსაკრავი არ გავხდით!

ელენე. მეტადრე ქართულ გაზეთებში! მგონი, ლიქიებიც კი სწერენ! ხა, ხა, ხა! не угодно, ხელი ჩამოართვი! (ზიზღით) ფუ, ფუ, ფუ, (ტირილის ხმით) ей-Богу, მაგათ გულისთვის რამდენ „დუხებსა“ ვხარჯავ! გაცნობენ და поневолѣ соприкасаешся съ ними! (ამ დროს „პერედნიდან“ ისმის მაროს დამცინავი ხმა: „პა, პა, პა! რა სინათლეა! როგორ ეტყობა, რო სუ ბრწყინვალები სხედან!!! ყველანი იცინიან და ჩუმ-ჩუმათ ამბობენ: „ო! ნოგილისტკა მოვიდა და ახლა ყველას დაგველანძღავს!!!)

სალომე. (ჩუმათ—ელენეს). თუ არ გვიკბინა, არ შეუძლია!

ელენე. (აგრეთვე ჩუმათ). ხა, ხა, ხა! Эксцентричная женщина! რათ იღებ?—შენი ბრალია! სალომე, მეტის, მეტი თავდაბლობაც როდი ვარგა: зазнаются, душка!

სალომე. რა გაეწყობა,—სოციალისტკაა! მგონი, „კამიტეტშიაც“ ურევია... ე მანდ არ გაგვაპარჭიკებინოს!

ელენე (შეშინებული, პირღია დარჩება). ა... ა... ა... ა!!! (შემოდის მარო, შუა ტანისა, გონჯი სახისა... მიხვრა-მოხვრა და ხმა კაცური, ფეხი-ფეხს გადადებული, ერთავათ პაპიროზსა სწევს. კვეხულობს პირადობით და დემოკრატიზმით, მუდამ კი არისტოკრატებს ეკვრის, თუმცა ლანძღავს. ყველას ეშინია ამის ენისა და ძლიერ ეფერებიან. აცვია ძიენ უბრალოთ თალხი შალის კაბა—ევროპიულათ).

#### გამოსლა II

იგინივე და მარო.

სალომე (ნაძალადევს ღიმილით). ო...ო! მარო, მარო! მობრძანდი.

მარო (ყველას მაგრა ხელსართმევს). გაგამარჯობა! გამარჯობა! გამარჯობა! (ნინას, ფეფოს და ქაიხოსროს) ოხ! ძლივს ჩემი ტოლი დემოკრატებიც არ დავინახე! (ყველანი იცინიან).

ნინა (ხელების შლით). Извините, я...

მარო (გააწყვეტინებს). რუსული! ქართული კი აღარ გეკადრება?! (ყველანი—ერთხმათ: „ქართული! ქართული!“).

ნინა (პირზე ხელს მიიფარებს). უიჰ! წამოცდა! (ხელსა ჰკრავს თამროს) противная! რატო კაბა არ დამწიე?!

მარო („ჩესტ“-ს უკეთებს შაქროს და—დაცინვით). თქვენს ბრრრ...წყინვალებას და „ბლაგოროდიეს“ გაუმარჯოს! (ყველანი იცინიან).

შაქრო (ხელის ქნევით). ერთი, დამეხსენ და!

მარო (დაცინვით). თორე, ხანჯალს მატაკებ?! ვის აკვრია იარაღი და ვის წაართვეს! (თამროს თავის კვრით) ო...ო, პრინცესსა! როგორა ბრძანდებით?

თამრო (თავის კვრით და სიცილით). პრინცის მოლოდინში გახლავართ! (ყველანი იცინიან).

მარო. შე დალოცვილო, უთუოთ რო პრინცი არ იყოს, ჩვენისთანა მომაკვდავს რაღა უჭირს? (დაცინვით) მაგრამ ხო, გადადაგვარება როგორ გეკადრებათ! (ყველანი იცინიან) ეგ არი უბედურობა—პრინცობას აუქმებენ! (სიცილი).

სალომე (იქით—ღრეჯით) ქალი კი არა, კაცია!

ელენე (ეხვევა). ხა, ხა, ხა! მარო, მარო, რა მიყვარხარ! (ჩუმათ სალომეს) отъ нея дукомъ несетъ!

მარო (დაცინვით „რევერანსს“ უკეთებს ელენეს). დიდათ ბედნიერი გახლავარ! (ჩამოჯდება, ფეხი-ფეხს გადაიდებს, სათუთუნეს ამოიღებს და შაქროს) რაც „მილიცია“ დაიშალა, მაინც უსაქმოთა ხარ: ერთი ე სპიჩკა და საფერფლე მომაწოდე, გეთაყვა! (ყველანი იცინიან და თავს იქნევენ).

შაქრო (საზოგადოებას). ეს ოხერი, მგონი, დამცინის, აი?! გავჯავრდე თუ არა?.. მოიცა, ჯერ კიდევ მითხრას რამე! (აწოდებს) მიირთვი.

მარო (პაპიროსის წევით). რაო, რა ამბავია? ვერ იქნა, ვერ გამართეთ წარმოდგენა?

სალომე. რა ვქნა, ესე მოხდა... რათ დაიგვიანე?

მარო. შე დალოცვილო, იმ სიშორიდან მოსვლა არ უნდოდა? მეც ხო თქვენსავით დიდკაცების რიცხვში არ ურევივარ, რო კარეტა კარზე მადგეს!

სალომე. კარეტები ეხლა პატარა კაცებში მოიკითხე, იმათშია ფული!

ელენე. სომხებში, სომხებში! ხა, ხა, ხა!

ლუარსაბი. ე...ეხ! სადღაა ჩვენი უწინდელი დიდება! საიდანაც გადმოხვეწილმა კრო-სომხებმა კი აღარა შეგვანარჩუნეს-რა... ხი, ხი, ხი... ეხლაა და ე გლეხები აგვაისეს...

მარო. არ გეჭაშნიკათ, რო გუშინდელმა მონებმაც ხმა ამოიღეს?!

სალომე. შენ კი მოგწონს დაწვა, დაბუგვა, დაჩეხვა?

ლუარსაბი. „ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო!“ პირუტყვ გლეხს გააგონე „ერთობაა“, ბატონობა აღარ არიო... და იმასაც ის უნდა... ხი, ხი, ხი... (ახველებს).

ქაიხოსრო. ეგ სუ სოციალდემოკრატების ბრალია: წოდებრივ განხეთქილებას ისინი ქადაგებენ!

ფეფო (იქით). ბანი მივცე—მგონი, მოვეწონვარ... (ყველას) მართალია, ეს სისაძაგლე სუ იმათი ბრალია!

ლუარსაბი. მერე რა გაიტანეს?.. წითელი ჩვრები რო შეებათ ჯოხებზე და ქუჩა-ქუჩა აწიალებდენ, ეხლაც არა ნებავთ?!

სალომე. სუ „ძირს“, „ძირს“ რო გაიძახოდენ, ძირს არა ვართ, ჰაერში ვინ დაფრინავს?

ელენე. ხა, ხა, ხა! не знаю! (მარო ორთავეს დაცინვით უცქერის).

ქაიხოსრო. მართალია, მოვალენი ვართ, რო გლეხებს უშველოთ, მაგრამ ბატონებათ ხო ვერ გავიხდით?!

მარო. საოცარია, ღმერთმანი: ჩინოვნიკები „გოსტინებში“ ძიენ იბრალებენ გლეხებს, ჩუმათ კი სამპირ ტყავს აძრობენ!

ქაიხოსრო (უკან გაიწევს). დიახ, ეგ არი უბედურობა, რო ზოგიერთი ქრთამს იღებს... (იქით) ნეტა, ვინ უთხრა?!

ელენე. да, да, правда, правда! გლეხები გვაცხოვრებენ. შენ მართალი ხარ, მარო! (მხარზე ხელს დაკრავს) она передовая женщина, господа, соціалистка! მეც იმ აზრისა ვარ! (ჩუმათ სალომეს) что-жъ, მეტი რა ჯანია! ხა, ხა, ხა!

შაქრო. დედა არ მომიკვდება, მეც ანარხისტი ვარ, ვენაცვალე გლეხებსა! (ყველანი იცინიან).

*) იხ. „ჩვენი ცხოვრება“ № 15.

მთავრობა კადეტებს რევოლიუციონურ მოქმედებას უკიჟინებს (უმთავრესათ ვიბორგის მანიფესტი აქვს ხელზე დახვეული), თითქოს რევოლიუციონურ პარტიას უწოდებს მათ თავისი ორგანოს „როსსიის“ პირით, და არ აძლევს მათ არა თუ საიმპერიო პარტიულ სიეზდის გამართვის ნებას, არამედ ადგილობრივ კრებების გამართვასაც კი უკრძალავს და საზოგადოთ უარს ეუბნება მათი პარტიული ორგანიზაციების ლეგალიზაციაზე; ერთი სიტყვით, მათ, როგორც ყოველ რევოლიუციონურ პარტიას, კანონს გარეშე აყენებს და ცდილობს მოუსპოს მოქმედების ყოველგვარი საშუალება.

ადვილი მისახვედრია, რომ მთავრობის მხრივ კადეტთა პარტიის ასეთი დამუხრუჭების მთავარი მიზეზი არის არა კადეტთა რევოლიუციონერობა, როგორც ამას თვით მთავრობა იმიზეზებს—კადეტები, თუ მათ მთავრობა არ აიძულებს, თვითონ ჯერ ნაკლებათ ფიქრობენ გარევოლიუციონერებაზე. მთავრობის მიერ მათი დღევანდელ დევნის მთავარი მიზეზი, ჩვენი ფიქრით, სწორეთ ის არის, რომ პირველ დუმის არჩევნების დროს კადეტებს დიდი გავლენა დაურჩათ ხალხზე და ამის მეოხებით ისე მრავლათ შევიდენ დუმაში. მას შემდეგ ასეთი მათი გავლენა კიდევ უფროც გაიზარდა და, ეჭვი არ არის, რომ თუ მათ მომავალ დუმის არჩევნებისთვისაც აგიტაციის და მოქმედების თავისუფლება ექნათ, კვლავ მრავლათ გავლენ დუმაში, და აი მთავრობაც სწორეთ ამას უფრთხის, სწორეთ ამის თავიდან ასაცილებლათ უსპობს კადეტებს მოქმედების თავისუფლებას—რაც უნდა რა იყოს, კადეტები დუმაში სახიფათო ელემენტებს წარმოადგენენ მთავრობისათვის, რომელსაც ისინი არც მთლათ მეცთომით მიაჩნია „რამოლნიკებათ“,—ამის საბუთი მას ძველი დუმის გამოცდილებამ მისცა, რომელშიაც კადეტები მას სულ „ტყავს აძრობდენ“. თავს ლაფს ასხამდენ, საქვეყნოთ თავს ჰრიდენ.

თუ მთავრობა ერთი მხრით ასე ამუხრუჭებს პროგრესიულ პარტიების მოქმედებას, მომავალ არჩევნებზე მათი გავლენის ასაცილებლათ, სამაგიეროთ მეორე მხრით ყოველნაირათ ხელს უწყობს რეაქციონურ პარტიების მოქმედების გაფართოებას, მომავალ არჩევნებში მათ-მიერ გამარჯვების მოსაპოებლათ. ამ მიზნით ის ამ უკანასკნელთ არა მარტო სრულ თავისუფლებას ანიჭებს სამოქმედოთ, ყოველგვარ დახმარებას უწევს მათი ორგანიზაციების გასამაგრებლათ და, რაც უმთავრესია, ხელს უწყობს ყველა ამ პარტიების გაერთიანებას, რომელსაც ესენი უკვე შეუდგენ სტოლიპინის ლოცვა-კურთხევით.

რეაქციონურ პარტიებთან ერთათ, სასურველ დუმის უზრუნველსაყოფელათ, მთავრობა იშველიებს, რასაკვირველია, თავის საკუთარ „ორგანიზაციებსაც“—პოლიცია, ადმინისტრაციას, თავის ადგილობრივ აგენტებს, რომლებსაც სასტიკათ ავალებს—ახლავე შეუდგენ ხალხში მთავრობისათვის სასარგებლოთ საარჩევნო აგიტაციის გაწევას; ამავე მიზნით მთავრობა იხმარიებს მღვდელ-ეფისკოპოზ-მიტროპოლიტებსაც; ამასთან ერთათ ბეჭდავს და ავრცელებს ხალხში მრავალ ბროშურებს, გაზეთებს, ფურცლებს და სხ., მაშინ, როდესაც სასტიკათ დევნის უბრალო პროგრესიულ გაზეთებსაც კი.

ასე—ამ რიგათ, თუ ვინიცობაა მთავრობას ვერც „რეფორმებმა„ და ვერც ზარბაზნებმა ვერაფერი უშველეს რევოლიუციის შესამუსრავათ, მაშინ კრიტიკულ წუთისათვის მას მზათ ექნება ხელში ახალი იარაღი—შესაფერი გავლენა სასურველ დუმის მოსაწვევათ და მით თავისი მდგომარეობის გასამაგრებლათ. ასე ოცნებობს მთავრობა! ჯერ თავისი თვალმაქცური, აშკარა—ფუქსავატი „რეფორმებით“ ხალხს მთელ თავის თვალმაქცობა-ფუქსავატობას საბოლოოთ დაუმტკიცებს, ჯერ თვისი თოფ-ზარბაზნებით მთელ ხალხს თავის თავს საბოლოოთ შეაზიზღებს, ამასთან თავისი წარამარა, არამკითხე აგიტაციით თავს საბოლოოთ მოაბეზრებს და ბოლოს იგივე ხალხი ისეთ დუმას შეუდგენს, როგორიც მას ეს-ამოვნება. ასეთია მთავრობის ლოღიკა! მაგრამ ეს ხომ ლოღიკას კი არა, გამოთაყვანებას ნიშნავს! საღი ლოღიკა და საღი ჭკუა კი უტყუვრათ უწინასწარმეტყველებს მთავრობას, რომ, რაც უფრო ის ბევრ ტყვია-წამლს დახარჯავს, როგორც თავის თოფ-ზარბაზნების, ისე თავისი „რეფორმებისას“ და აგრეთვე თავის უგბილო-უნიადაგო აგიტაციისას, მით უფრო ფართოთ და მაღლა აზვირთებს რევოლიუციის ზღვას, მით უფრო მედგრათ აამხედრებს თავის წინაალმდეგ სულ უფრო ფართო მასას, და, მაშასადამე, მით უფრო ხელს შეუწყობს „კრამოლნიკური“ დუმის შედგენას. ეს ლოღიკა რევოლიუციის ლოღიკაა, ეს ბუნებრივი აუცილებლობის რკინის კანონია, რომლის შეურყეველ ძალით ყოველ იარაღს, დრო-მოჭმულ მთავრობის მიერ რევოლიუციის შესამუსრავათ ხმარებულს, თვით რევოლიუცია იყენებს მისი გამომჭედის გულის გასაგმირათ. ასე გამოიყენა რევოლიუციამ მთავრობის მიერ „გამოჭედილი“ პირველი დუმა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იგი (რევ.) ნაკლებათ მოსდებოდა ხალხს; უფრო, გაცილებით უფრო ფართოთ გამოიყენებს რევოლიუცია მთავრობის-მიერ გამოჭედილ მეორე დუმას მაშინ, როდესაც იგი (რევ.) უკვე თითქმის მთელ ხალხს ექნება მოდებული.

**ვალენტინ.**

---

## მომავალი არჩევნები და მუშათა პარტიის ტაქტიკა*)

მართალია მეორე დუმის არჩევნები ჯერ არ მოახლოვებულა და შესაძლებელია ისეც დატრიალდეს რევოლიუციის ვითარება, რომ სულაც არ იქნეს მოწვეული მეორე დუმა, მაგრამ მაინც საჭიროა წინ და წინ გავითვალისწინოთ მომავალი არჩევნების პირობები და მის მიხედვით გამოვიმუშაოთ საერთო ტაქტიკური დირექტივები.

დავიწყოთ პირველი დუმიდან. რევოლიუციის ძალდატანებით მთავრობა იძულებული გახდა დაეცუმა მისთვის ერთი უძლიერესი პოზიცია—დუმა. მთავრობამ პრინციპიალურათ დასტური დასცა სახალხო წარმომადგენლობას და მით ხალხს აუწყა: აი დუმა, კანონიერ ნიადაგზე კანონიერი ბრძოლა, მოდი აქ გავსამართლდეთო. მაგრამ ცხადი იყო, რომ არსებული მთავრობა და პარლამენტი ერთათ ვერ მოთავსდებოდენ და კამარილას მიერ დაყენებული და მხოლოდ მის წინაშე პასუხისმგებელი სამინისტრო ვერ იქნებოდა კონსტიტუციონური მთავრობა. და აი საჭირო იყო ამ აზრის ხალხის წინაშე ფართო დემონსტრაცია, მისი ცოცხალ მაგალითებზე დამტკიცება. რევოლიუციის ინტერესები მოითხოვდა ისეთ პოლიტიკას, რომელიც მთავრობას თვით კანონიერების ნიადაგზე დაამარცხებდა, მის მიერ გამოცემულ კანონებს თვითვე დაარღვევინებდა და ასე კანონიერ ნიადაგიდან აშკარა კონტრ-რევოლიუციის გზაზე გადაიყვანდა, ასე ვთქვათ „შარის“ ამტეხათ თვითონვე მთავრობას გახდიდა. რასაკვირელია, ასეთი ვითარება ძლიერ საგრძნობლათ შეცვლიდა საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას რევოლიუციის სასარგებლოთ. ეს როლი უნდა ეკისრნა პირველ დუმას, და კიდეც შეასრულა მან რაოდენიმეთ, იმისდამიუხედავათ, რომ მემარცხნე პარტიებმა უმეტეს ნაწილათ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს. რევოლიუციამ სწორეთ ზემოთ ნაჩვენები გზით იწარმოვა და კიდეც აიძულა მთავრობა მოეხდინა 9 ივლისის აქტი (დაითხოვა დუმა), რამაც ხელ-ახლა შექმნა საერთო ნაციონალური ოპოზიცია, მზგავსი ოქტომბრის ოპოზიციისა. მართალია დუმის დათხოვა თავისი შინაარსით ნამდვილი coup d'état არის, მაგრამ მას, ასე თუ ისე კიდევ შერჩა კონსტიტუციონური კანონიერების ელფერი... მთავრობა შემდეგნაირათ ლაპარაკობს: კონსტიტუციონურ მონარქს უფლება აქვს დაითხოვოს პარლამენტი, თუ კი ის სისწორით ვერ ხატავს ხალხის ნებას, მისი სულის-კვეთებას; დუმაც სწორეთ ასეთი იყო და მეფემაც კანონის ძალით დაითხოვა იგი, ხალხში „აპელაცია“ გადიტანა და ახალი არჩევნები დანიშნა. ეს, რასაკვირველია, მხოლოდ სიტყვის მასალაა, მაგრამ ასე თუ ისე ეს უკანასკნელი სიტყვაა კანონიერების ნიადაგზე, რომელიც მთავრობას დარჩენია.

გავათავე რა ლაპარაკი ერთ-ერთ კრებაზე დუმის დათხოვის შესახებ, ერთმა გლეხთაგანმა მკითხა: „ერთი სიტყვით, ბატონო, ი კაცი იმას ხმარობს საბუთათ, რომ თქვენმა გამოგზავნილმა სწორე ამბავი ვერ მომიტანაო, ცრუ მოციქული უნდა იყვეს და ახალი გამოგზავნეო, არა?... არც მთლათ ურიგო სიტყვაა, მაგაშიც შევყვეთ, ვნახოთ, რას გვეტყვის უკანასკნელ სიტყვას ის კაცი“... „კი მაგაშიც შევყობით,—დაუმატა მეორე გლეხმა. მარა რო ვერც მაშინ გამოდგეს პირიანი კაცი?“... „მერე რაღა გასაქანი კუდი ექნება, ქმაინც გადაჭრით გვეცოდინება, ვისან გვაქ საქმე“ მკვირცხლათ გასცა პასუხი ჩემ გვერდში მდგომმა ათისთავმა.

სწორეთ რომ რევოლიუციის ინტერესები მოითხოვს და ჩვენი პოლიტიკაც იქეთკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ხალხმა „გადაჭრით“ გაიგოს, რომ მთავრობა „პირიანი კაცი“ არ არის; მთავრობას ეს უკანასკნელი სიტყვაც უნდა მოვუჭრათ, მას ყოველგვარი კანონიერების რიდე ჩამოვხადოთ, კანონიერების უკანასკნელ კუნჭულიდან ფეხი მოვასხლეტინოთ და აშკარა კონტრ-რევოლიუციის მორევში შევატოპინოთ. ამისთვის კი საჭიროა, რომ მთავრობის მიერ ხალხში გადატანილი „აპელაციით“ რევოლიუციამ ისარგებლოს, რომ ახალ არჩევნებში მთავრობა სასტიკათ დამარცხდეს, რომ ახალი დუმა უფრო მემარცხენე თუ არა, მემარჯვენე მაინც არ უნდა იქნეს, ვიდრე პირველი. ასეთ პირობებში მთავრობა იძულებული იქნება ან დაუთმოს დუმას და მით კიდევ უფრო გაადვილოს რევოლიუცია, ანდა ყოველგვარი კანონიერების ნიღაბი ჩამოიხადოს, უცერემონიოთ განდევნოს სახალხო წარმომადგენლობა, და მით აშკარა ომი გამოუცხადოს მთელ ხალხს. ორივე ეს შემთხვევა ერთნაირათ ხელსაყრელია რევოლიუციისთვის. ორივე შემთხვევისთვის კი ერთნაირათ არის საჭირო მემარცხნეთაგან შემდგარი დუმა.

მაშასადამე, მუშათა პარტიის მოვალეობაა ყოველი ღონისძიება იხმაროს, რომ მომავალ არჩევნებში რეაქციის დამარცხება უზრუნველყოს. ამისთვის კი საჭიროა გავითვალისწინოთ ის პირობები, რომელშიაც დაახლოებით მოხდება მეორე დუმის არჩევნები, ცხადია ეს პირობები გაცილებით სხვანაირი იქნება, ვიდრე პირველ არჩევნებში იყო. პირველ არჩევნებში მთავრობის რეპრესიებს უფრო სპორადიული ხასიათი ქონდა, ის მთელი თავისი სიძლიერით არ ჩარეულა არჩევნებში, ასე თუ ისე საზოგადოთ შეღავათიანი არჩევნები იყო. ახალ არჩევნებში კი მოსალოდნელია, რომ მთავრობა მთელი თავისი ვეებერთელა ორგანიზაციულ აპარატს აამუშავებს, პოლიციის დეპარტამენტი დღიდან დუმის დათხოვისა საარჩევნო კომპანიის მზადებაშია; მთავრობა არჩევნებში გამოსვლას აპირებს, როგორც მოპირდაპირე, თავისი კანდიდატებით. დიდ ფაცა-ფუცში და მზადებაში არიან რეაქციონური პარტიები, როგორც წესრიგის პარტია, რუსის ხალხთა კავშირი და სხვები, ეს პარტიები ომის მოლოდინში ორგანიზაციულათ ირაზმებიან, „მათ პროვინციალურ კომიტეტებს ათი-ათასობით მოსდით ფული საარჩევნო კომპანიისთვის პეტერბურგიდან, ცენტრალური კომიტეტიდან“ (წაიკითხე პოლიციის დეპარტამენტიდან). ზოგიერთი რეაქციონური პარტიები, როგორც მაგალითათ რუსი ნაროდნიკები მომავალ არჩევნებში შემდეგი ლოზუნგით აპირებენ გამოსვლას: „მეფე და მიწა“. თვითონ მთავრობის აგრარული „რეფორმა“ ხომ იქითკენ არის მიმართული, რომ საშუალო გლეხობის გული მონადიროს და მით არჩევნებში ლელო გაიტანოს. „რუსთა კრება“ გაცხარებულ აგიტაციას ეწევა ყველა რეაქციონურ პარტიების შესაკავშირებლათ, აგიტაციამ გასჭრა და ყველა ამ პარტიების ბლოკი მოსალოდნელია ახლო მომავალში. ოქტომბრისტებიც ხომ დიდი ხანია საარჩევნო მანევრებს შეუდგენ და ამ მიზნით ცოტა მარცხნით მიჩოჩავენ. გარდა ამისა უნდა დავძინოთ, რომ „რევოლიუცია გვასწავლის და მომავალ არჩევნებში ბოიკოტისტები აღარ გვეყოლება. უეჭველია არამც თუ „ბოლშევიკები“ არამედ სცო.-რევოლიუციონერთა პარტიაც მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში, ამ გარამოებას კი ძლიერ საგრძნობლათ შეუძლია ასწიოს რეაქციონერების შანსები, რადგანაც მემარცხენეთა ხმები უნდა დანაწილდეს მემარცხნე პარტიებს შორის, რასაც შეუძლია არა ერთი და ორი მანდატი არგუნოს რეაქციას. როდესაც არჩევნებში ვერევით, ყველა ეს პირობები გათვალისწინებული უნდა გვქონდეს და მის და მიხედვით ვადგენდეთ მოქმედების გეგმას. კითხვა ჩვენს წინაშე ასე დგას: რევოლიუციის ინტერესები აუცილებლათ მოითხოვს მომავალ არჩევნებში მემარცხნეთა გამარჯვებას, ამ გამარჯვებას საფრთხე მოელის ყველა ზემოჩამოთვლილი პირობებისაგან; მაშ, მუშათა პარტიის მოვალეობაა ისეთი პოლიტიკა აწარმოვოს რომ ყველა ეს დაბრკოლებანი გადალახოს. რეაქციონურ ძალთა მობილიზაციას, რომელსაც მთავრობა და მისი მომხრე პარტიები ახდენენ, პროლეტარიატის პარტიამ უნდა დაუპირდაპიროს დემოკრატიულ ძალთა მობილიზაცია. ამას მოითხოვს ჩვენგან რევოლიუციონური მომენტი. მემარც-

*) ამ წერილში ამხანაგის-მიერ წამოყენებული კითხვა რედაქციას მეტათ საყურადღებო მორიგ კითხვათ მიაჩნია; იმედია, სხვა ამხანაგებიც გამოთქვამენ თავის აზრს ამ საგანზე; რედაქციაც ეცდება თავის დროზე თავისი აზრიც გამოთქვას.

---

მართ. ოღონც შენ იმათ ჩამოეხსენი და შენი „გენაცვალობა“ არ უნდათ!

ელენე. Конечно, სუყველანი თანასწორნი და ადამ და ევას ჩამომავალნი ვართ!

მართ. ეხ! შენიც არა გაიგება-რა! (ხელის შლით) ხან ასე ხარ, ხან ისე! ვაი იმის ბრალი, ვინც მოწვათ ჩაგწერს! (ყველანი იცინიან) სხვა...ა, ваше превосходительство! თქვენი არისტოკრატიული სენი—პადაგრა როგორა ბრძანდება? (სიცილი).

ლუარსაბი. ე...ხ! ისევ ისე მაქვს... ხი, ხი, ხი... მას აქეთ, რაც „პახოდში“ გავცივდი, ეს წყეული აღარა მშორდება!

მართ (დაცინვით). სამაგიეროთ, რო „გიორგიევსკი კრესტი“ მიიღეთ! (ისმის სიცილი, სალომე იღრიჯება).

ლუარსაბი. დიახ, ჩემო ბატონო... და შამილის დროსაც...

მართ. „ვლადიმირ ტრეტი სტეპენი!“ ვიცი, ვიცი, აკი მიამბეთ!

ლუარსაბი. ბარე „ანნაც“ მერგებოდა, მაგრამ... ეხ! (ხელის ქნევით) ქართველი ვარ... (სალომე თვალს უშვრება).

ქაიხოსრო. აი, მეც ეგრე არ მიყვეს, ваше сiятельство! კონტროლიორობა მე მერგებოდა და რუსს მისცეს!

მართ (დაცინვით). რაღა გაეწყობოდა, პატრიოტი გახდით, ხა? (საზოგადოებას) გარეგან რუსნი, გულით ქართველნი! ოხ, რამდენი ოთარბეგები გვყავს?

ლუარსაბი. მე ჩემი .. მიწა-წყალი..-. საყოველთვის... მიყვარდა... ხი, ხი, ხი... სამშობლოს... რა შეედრება?

ქაიხოსრო. ჭეშმარიტი ბრძანებაა. არაფერი, ваше сiятельство.

მართ. (სალომეს) არხიეის თავგე კი არ მოვა? (ისმის სიცილი).

სალომე (უსიამოვნოთ). სს! მგონი, მამიდის... არ გაიგონოს! (იქით) ოო! ამი ტადის... რტალი ენისა არ მეშინოდეს!—„პადიეზდის“ რებს კი ვასუნებინებ?!

მართ. გაიგონოს რა,—მე არავისი მეშინიან! რასაცა ვფიქრობ, ყველას პირში ვეუბნები.

სალომე. მეტის-მეტი პირადობაც არვარგა, ტაქტიკაც კაი საქონელია!

მართ. მე „ტაქტიკა-მაქტიკა“ არ ვიცი! პირფერობა არ შემიძლიან! მე აი (ხელის გულს უჩვენებს) ესე ვარ! ვისაც გსურდეთ, მიმიღეთ! (იქით) ეგ ენა მოვიმოკლო, თორე კვლავ აღარ დამიძახებს!

ელენე. Конечно, ეგრე სჯობიან! შენი ეგ მომწონს, რო „ოტკროვენნი“ ხარ!

მართ. ბარემ არ მოგწონს, მაგრამ სხვა რაღა გეთქმის! (ყველანი იცინიან).

ელენე. (სიცილით) არა, ღმერთმანი! терпѣть не могу двуличныхъ людей! (ამ დროს „პერედნიდან“ ისმის რევაზის ხმა: „რუსული! რუსული! რუსული!“)

ყველანი. (იცინიან და ჩუმ-ჩუმათ ამბობენ) ო... ო! მოვიდა, მოვიდა! ახლა-კი ფრთხილათ!

### გამოსვლა მესამე.

იგინივე და რევაზი.

რევაზი. (ყველას საერთოთ თავს უკრავს) სალამო მშვიდობისა!

ყველანი. (ერთხმათ) ა... ა! რევაზ! რევაზ! მობრძანდით, დაბრძანდით.

ელენე. (ხელის ქნევით) რევაზ, რევაზ! сюда, сюда! около ме...

რევაზი. (თითის ქნევით გააწყვეტინებს) (კიდევ! (ყველანი იცინიან).

ელენე. (პირზე ხელს მიიფარებს) წამომცდა, წამომცდა, მაპატიეთ! ღმერთმანი, საშინელი „პატრიოტკა“ ვარ: ქართველების სასარგებლოთ წამოუწყემ танцовальный „ვეჩერებსა“...

რევაზი. (ხელების შლით და ღრეჯით) მწ... ა... ახ...! ღმერთო ჩემო!

ელენე. (ტირილის ხმით) მა რა ვქნა, როგორა ვთქვა, მასწავლეთ მაინცა! (სხვებთან ერთათ ჩუმ-ჩუმათ იცინის).

რევაზი. „საცეკვაო სალამო“, „საცეკვაო სალამო“!

ელენე. ხო, მართლა, какъ просто! (რევაზი რო იღრიჯება და ყველანი იცინიან, —ტირილის ხმით) Ахъ, какая я глупая, ей богу! (ამაზე უფრო ატყდება სიცილი, რევაზიც უფრო ცოფობს).

ფეფო. (პრანჭვა-გრეხით) მეტი ჯანი არ არი, ეტაყვა, ჯარიმა უნდა გავაჩინოთ რუსულ სიტყვაზე!

მართ. აბა, ერთი რუსის ჩინოვნიკმა გითხოვოს, ვნახოთ მაშინ რაღას იტყვი?! (ყველანი იცინიან)

ფეფო. (გაწითლდება) უწინ დღე დამელიოს, რო უცხოს არ გავყვე! რა გაჭირება მადგია, თავისუფლება არ მირჩევნიან! რამდენმა გამიკეთა „პრედლოჟენია“, რო...

რევაზი (გააწყვეტინებს) „პრედლოჟენია“ კი არა, „წინადადება“! რა არი, რა უბედურობაა, ღმერთმანი! მთლათ გადაგვარების გზას ვადგევართ! უმთავრესი დამცველი ერისა· ენა, სარწმუნოება და წეს-ჩვეულებაა! ამას თვით ისტორიული ქრონიკონები გვიმტკიცებენ.

გიორგი· ადრეც გამოვთქვი ჩემ სტატიაში და ეხლაც ვიმეორებ, რომ თუ სამშობლო ენა არ შევისწავლეთ, სულ ამოვწყდებით, გავნადგურდებით ფიზიკურათაც, გონებრივათაც! ერთი სიტყვით, მიწასთან გავსწორდებით!

ყველანი. მართალია, მართალი, მართალი!

რევაზი (ტკბილათ, პაფოსით) ენა, ის ენა, რომელზედაც ბაასობდენ ჩვენი გმირთა-გმირ—რაინდ წინაპრები, რომელიც იყო სული და გული ჩვენ დიდებულ მეფეებისა, ეპისკოპოსებისა, გენიოს მწერლებისა, ფილოსოფოსებისა, მეცნიერებისა, რომელსაც სინაზეში, სიუხვეში და სიძველეში მთელ დედამიწაზე ბადალი არა ჰყავს?!

შაქრო. (აღტაცებული) ოხ! თავშემოვევლე მაგ ენასა! ვინც დღეის იქით რუსული სიტყვა სთქვას, ემ (სტოლზე ხელს აბეთქებს) სტოლსვეეფ გახმეს! (ყველანი იცინიან).

რევაზი. (მივარდება შაქროს) „სტოლი“ კი არა,—„მაგიდა!“

ყველანი. (სიცილით მისცვივიან შაქროს) ო... ო... ო! მაშ შენვე მოგივა ეგ წყევლა, შენვე! შენვე! შენვე!

შაქრო. დედა არ მომიკვდება, წამომცდა, თორე ისეთი პატრიოტი ვარ, რო როცა საცა რუსი და სომეხი შემხვდება, თუ არა ვცემე, არ შემიძლია! (ყველანი იცინიან, ზოგი ამბობს: „ახია იმათზე!“)

ელენე. (რევაზს ტირილის ხმით) რა ვქნათ, კარგათ რო არ ვიცით ქართული?

რევაზი. ეგ იმიტომ, რომ სუ უცხო ლიტერატურას ეტანებით! არა კადრულობთ ჩვენ შესანიშნავ მწერლებს! ქართულ ჟურნალ-გაზეთების მაგიერათ, რუსულს იწერთ, რის გამოც ჩვენი პრესა უფულობით სულსა ლევს!

გიორგი. მაგის ასაცილებლათ საჭიროა დაარსდეს ისეთი საზოგადოება, რომელმაც ყველა ქართველს უთუოთ გამოაწერინოს ერთ—ერთი ჩვენი გაზეთი.

ყველანი. ხო, ხო, ეგ კარგი იქნება! მშვენიერი აზრია.

რევაზი (განაგრძობს). შინ თურაშაულებსა სტოვებთ, გარეთ კი კუნელისთვის დარბიხართ! მაგალითათ: რომელი რუსი, ან ევროპიელი მწერალი შეედრება შოთას, დიდებულ შოთას, ქართველების გენიოსთა-გენიოსს?! (ისმის ხმები: „არც ერთი! არც ერთი!“)

შაქრო (აღტაცებული). ოხ, ვენაცვალე მაგასა! ძიენ ჭკვიანი კაცი იყო!

მართ (დაცინვით). ახლოს კი მიჭკარებიხარ?! (ყველანი იცინიან).

რევაზი (განაგრძობს). ან „რუხის-ბრძოლას“, „როსტომიანს“, „თამარ-დედოფლის შე ხმას“, „იუსუფ ზელიხანიანს“, რომელიც, ვახუშტის სიტყვით, გაჰყოლია მზითვათ თვით ანუკა ბატონიშვილს?!

ელენე (სალომეს). დახე, დახე, რა ლიტერატურა გვქონია და ჩვენ კი არ ვიცოდით! რევაზ, გეთაყვა, ეგ წიგნები მიშოვეთ და ხვალვე გამომიგზავნეთ. (ისმის ხმები: „მეცა, რევაზ! მეცა, მეცა, მეცა!“).

მართ (იქით). შავი ჭირი გეცათ, რაც არა წაიკითხოთ-რა. (ყველას) ერთბაშათ სუ კი არ გადააჩულბულოთ! რა ქალს ატყუებთ! (ყველანი იცინიან) თქვენ იმდენი შეიძლოთ, ფრანგული რომანები ულაპოთ! მოხარშულს გიცნობთ!

რევაზი. ფრანგული კიდევ არაფერი, მაგრამ რუსული, რუსული, ბატონო! ტოლსტოი და გორკი ღმერთათ გაუხდიათ! თითქო ჩვენ კი ნაკლები ნიჭის მწერლები გვყავდეს! (ნაღვლიანათ) ეს არი ჩვენი ლიტერატურის ნაკლულევანება, რო ისტორიას არ ეტანებიან... მართლა, შემიძლიან ფრიად სასიამოვნო ამბავი მოგახსენოთ: მცხეთის ნანგრევებში ერთ ახალგაზრდა ქართველს დიდებული დავით-მეფის ცხენის ნალი უპოვნია! (სიცილი).

მართ. შე დალოცვილო, ისე იძახი, თითქო ოქროს მადანი ეპოვოს!

რევაზი (წყრომით). ეს უფრო ძვირფასია, თქვენ რო ისტორიის მნიშვნელობა გესმოდეთ! (მართო ჩაიცინებს). დიახ, ის შესანიშნავი ყმაწვილი, რომელმაც ასეთი უზომო სამსახური გაუწია სამშობლოს, დღე-დღეზე თავის ნაპოვნით, აქ ჩამოვა და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენც ღირსეულათ მივიღებთ და დავაფასებთ იმი ამაგს: სამ-სამ მანეთს გამოვიღებთ და შესაფერ ნადიმს გაუმართავთ. (ისმის რამდენიმე ხმა: „უთუოთ, უთუოთ“!).

ხნე პარტიებ შორის საარჩევნო ასპარეზზე ბრძოლა ხშირათ დემოკრატიულ ძალების გაბათილებას გამოიწვევს, რაიც რევოლიუციის საქმეს მხოლოდ ავნებს და რეაქციას გამარჯვებას არგუნებს, დიახ, მემარცხნე პარტიათა საარჩევნო ბლოკი—აი რას თხოულობს დღეს დემოკრატიის ინტერესები. კარგი და პატიოსანი, გვეტყვის უთუოთ ბევრი ამხანაგთაგანი, ეს თქვენი ბლოკი კი მოუხდება დღევანდელ დემოკრატიულ რევოლიუციას, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ გარდა დემოკრატობისა სოციალისტებიც ვართ და განა ასეთი ბლოკი არ ავნებს პროლეტარიატის კლასობრივ პოლიტიკას და მით ჩვენ უმთავრეს მიზანს?! მოგახსენებთ, რომ არ ავნებს. დრო არის უკვე, რომ რუსეთის პროლეტარიატმა ნამდვილი პოლიტიკა აწარმოვოს, ეომოს მუდამ ბურჟუაზიას, მაგრამ კავშირიც შეკრას მასთან დროებით, როდესაც ამას მისივე ინტერესები მოითხოვს. ბურჟუაზიასთან დროებითი კავშირი არამც თუ არ დააბნელებს პროლეტარიატის კლასობრივ შეგნებას, კიდეც გაალრმავებს მას (ეს პარადოქსი არ გეგონოთ), თუ კი ამ კავშირის შეკვრას გადაწყვეტს არა რომელიმე კომიტეტი და კოლექტივი, არამედ კითხვა თვით პროლეტარიატში იქნება დასმული და გარკვეული, თუ კითხვის გადაჭრაში ფართო მუშათა მასა მიიღებს მონაწილეობას. უნდა ხდებოდეს ფართო მუშათა კრებები, სადაც უნდა იმართებოდეს მსჯელობა, კამათი ბურჟუაზიულ პარტიებთან დროებით კავშირზე, ამ კავშირის მიზანზე, მის პირობებზე. ამავე კითხვებზე უნდა იმართებოდეს მსჯელობა მწერლობაში. მთელი ეს პროცესი, მთელი ეს კამპანია მხოლოდ ერთს ელაპარაკება პროლეტარიატს: რომ ბურჟუაზია სულ სხვა, მისი მოწინააღმდეგეა, რომ მასთან მუდმივი შეერთება არ შეიძლება, რომ მასთან მხოლოდ დროებით შეიძლება კავშირი რაიმე განსაზღვრული მიზნისთვის, რომ ის, როგორც მოწინააღმდეგე მხარეს ეკვრის ამა თუ იმ პირობით, რომ ეს დროებითი კავშირი მხოლოდ გამონაკლია საერთო კანონიდან, კანონი კი მუდმივი შეურიგებელი ბრძოლაა, ბურჟუაზიასთან. ხშირათ კანონის შესასწავლათ საჭიროა გამონაკლის ილიუსტრაცია. დროებითი კავშირი, მხოლოთ მუდმივი ბრძოლის მასწავლებელია. ვიმეორებთ, რომ ბურჟუაზიულ პარტიებთან დროებითი კავშირი არამც თუ არ დააბნელებს პროლეტარიატის კლასობრივ შეგნებას, კიდეც გაალრმავებს მას, თუ კი რასაკვირველია კითხვას აპეკუნები კი არ გადაწყვეტენ კაბინეტში, არამედ პროლეტარიატის ფართო მასა აქტიურათ ჩაერევა ამ საქმეში. ჩვენი აზრით კითხვა ბლოკის შესახებ, როგორც გლეხურ სოციალიზმის პარტიებთან (ს.-რ., ს.-ნარ. და სხვ.) და აგრეთვე ბურჟუაზიულ დემოკ. პარტიებთან, როგორც მაგალითათ, კონ.-დემ. და დემ. რეფ. პარტია, მორიგ კითხვათ უნდა ჩაითვალოს ჩვენს პარტიაში და გადაწყდეს. რაც შეეხება პრაქტიკულათ განხორციელებას, ეს უნდა ხდებოდეს ადგილობრივი ორგანიზაციის თაოსნობით, ადგილობრივი პირობების მიხედვით და საჭიროების თანახმათ.

გ. ლ.

# ახალი ამბები

8 სექტემბერს, ღამით, ტურგენევის ქუჩაზე, ალელოვის **სახლის გასაჩხრეკათ** მისულან: ბოქაულის თანაშემწე ხრუშჩევი, უბნის ზედამხედველი ბალჩუნასი, „ოხრანის“ განყოფილების მეთვალყურენი შიპილო, პოდგორნი და ოვსიანიკოვი. ამათთან ახლდათ კავკასიის მეორე მსროლელთა პოლკის რამდენიმე ჯარისკაცი პოდპორუჩიკ შელკოვსკის უფროსობით. ამათ უნდა გაეჩხრიკათ მე-2 სართულში ნინო და მართა შავერდოვის ბინა. გაჩხრეკის დროს შიპილო მივიდა ერთ ყუთთან და ახადა სახურავი თუ არა, უცბათ რაღამაც საშინელი სიძლიერით იფეთქა. იქავე მოკლულ იქმნა პოდგორნი, მძიმეთ დაჭრილ იქმნა ოვსიანიკოვი, რომელიც საჩქაროთ საავათმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. მძიმეთვე დაიჭრა უბნის ზედამხედველი ბალჩუნასი, ხოლო მსუბუქათ დაიჭრა: შიპილო, ჯარის კაცი კოშეევი და ხრუშჩევი. ვის ეჭირა ის ოთახი, სადაც აფეთქება მოხდა, არ იციან. მეორე ყუთში კიდევ აღმოჩნდა ორი ყუმბარა. დაპატიმრებულ იქმნენ ალელოვის სახლის გამგე ამირალოვი და ფარმ. ცევტი ვალ. ჯაში, რომელიც ალელოვის სახლის ეზოში ცხოვრობდა.

◆ ტფილისის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი აცხადებს, რომ ის **ბოიკოტს ხსნის იოსებ სულხანოვს**, რადგან მან შეასრულა კავშირის საბჭოს დადგენილება, გარდა მეოთხე მუხლისა, რომ ის შესახებ განაცხადა: „მედიატორებთან პირადათ მოვიხდი ბოდიშს და გაზეთში კი ვერ გამოვაცხადებო“.

◆ ქუთაისის გუბერნიიდან ამ ჟამათ **არხანგელსკის გუბერნიაში იგზავნებიან** შემდეგი პირნი: თეიმურაზ ზარქუა, ილარიონ მიქავა, კოსტა ბებია, დათა ქოლოკავა და ფარნა გეგელია. ხოლო ტობოლის გუბერნიაში: ლავრენტი გრიგოლია, მიხეილ წულეისკირი, ბაძუ ქავთარაძე, ჩიტუნა ქუბაბერია, ვასილ გუნია, დათა გუნია და საჩინო უჩანეიშვილი.

◆ ამ დღეებში კიკნაძის სტამბაში დაიბეჭდა **კავკასიის დეპუტატების სურათები**. ამის გამო სტამბის პატრონი სამართალში მისცეს.

◆ **ერევნის გუბერნიიდან** ტფილისში გუშინ შემდეგი დეპეშები მიიღეს: 1. „ორდუბათი. თათრებმა ზავი დაარღვიეს. დოსტოვის მახლობლათ 8 მეფურგუნე სომეხი მოკლეს, რომელთაც ფქვილი მიჰქონდათ ს. აკულისში. წაიღეს ფული და წაასხეს რვა ცხენი. შიშიანობაა. ბოიკოტი გრძელდება“. 2. „აკულისი, 8 სექტემბერი. რადგან თათრებმა სომხებს ბოიკოტი გამოუცხადეს, ამიტომ აკრძალულ იქნა ფქვილის ტარება სომხებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში დამტარებელთ მოკვლით ემუქრებიან. თათრები ხალხს აშინებენ. უმთავრესი გზები მახლობელ სოფლის მცხოვრებ თათრებმა დაიჭირეს. დიუგლუბის მცხოვრებლებმა გაძარცვეს ფარაგინელები, წაასხეს რვა ცხენი. გუშინ დაეცენ მეფურგუნეთ, რომელთაც ფქვილი მიჰქონდათ სომხეთა უბანში, ორი მოკლეს, 6 სასიკვდილოთ დასჭრეს, გაძარცვეს და 8 ცხენი წაასხეს. ამიტომ ახლა ვერავინ ბედავს სომხეთა უბანში ფქვილის ტარებას. სურსათი გამოილია. შიმშილობა მოგველის. ზანგეზურელები და თივანელები დაიძრენ და ყველგან ძარცვავენ ხალხს. სომხეთა ნადავლს უკან არ აბრუნებენ. შეატყობინეთ უმაღლეს მთავრობას, რომ მომავალში შესაძლოა შემაძრწუნებელი ამბები დატრიალდეს. იძულებული ვიქნებით სურსათი ძალით მოვიპოვოთ“.

◆ **მეაბრეშუმეთა და ხმელი პარკის პატრონთა საყურადღებოთ გვატყობინებენ**, რომ უცხოეთში—მარსელში და მილანში ამ ჟამათ კარგი ხმელი პარკის ფასი (10 ფრან. და 25 სანტ.) 62 მანეთამდე ავიდა ფუთზე. ადგილობრივ ბაზარზე კი ერთი ფუთი გარჩეული პარკის ფასი 47—48 მანეთს არ აღემატება, თუმცა ამ ორი დღის წინეთ ზოგიერთმა ესქპარტიორებმა სამტრედიასა და ბათუმში 50 მანეთადაც იყიდეს ფუთი გარჩეული პარკი. სხვა ვაჭრებმა რომ ეს გაიგეს, სასტიკათ აუკრძალეს 47—48 მანეთზე მეტის მიცემა და სხვ. ამ გარემოებამ ძლიერ ააღელვა პარკის პატრონები და მეაბრეშუმეები და გადაწყვიტეს ეგრეთ დაკლებულ ფასებში არ დაუთმონ თავიანთი პარკი. მართლაც, შარშან ამ დროს 54 მან. და 55 მან. და 50 კაპ. აძლევდენ ფუთ ხმელ პარკში ადგილობრივ. წელს კი, თუმცა ფასი უცხოეთში უფრო მეტია და პარკის თვისება ძაფის გამოსავალი, გაცილებით უფრო კარგია, რაც დამტკიცებულია უცხოეთისა და ადგილობრივ ექსპერტების ცნობით, 47—48 მანეთს იძლევიან და ისიც ბათუმში ჩატანით!! მიზეზი ამისა ის არის, რომ უმეტესი ნაწილი ხმელი პარკისა წელს თვით მეაბრეშუმეებს ეკუთვნის და დღემდე ხმელი პარკი მათ ხელშია. პარკის ვაჭრებ-ექსპარტიორებს გონიათ, რომ მეაბრეშუმეები დიდხანს ვერ მოუცდიან და ბოლო იძულებულნი გახდებიან მაინც მათ ჩაუგდონ პარკი ჩალის ფასათ. მაგრამ ცდებიან ეს ვაჭბატონები, თუ მეაბრეშუმეებ ის კი მოახერხა, რომ ნედლი პარკი ჩარჩებისათვის არ ჩაეგდოთ ხელში ახლა იმასაც მოახერხებს, რომ პირდაპირ უცხოეთის მექარხნეებს მიყიდოს. როგორც გადმოგვცეს საზოგადო პარკის ფარდულების გამგე კომიტეტებს გურიაში და სამეგრელოში — (ლანჩხუთისას, სუფსის.ს, ნატანებისას, ოზურგეთისას, ბახვისას, შემოქმედისას, წალენჯიხისას, მუხუროსას, ზუგდიდისას და სხვ.) უკვე მოლაპარაკება ქონიათ სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდასთან“, იმის შესახებ, რომ ერთად გაჰყიდონ პარკი უცხოეთში. ამხ. „კოლხიდა“-ს ამ დღეებში მოსვლია უცხოეთის ფირმების წინადადება, პარკს ჩვენ ვიყიდით, ბათუმში ჩამოგვიტანეთ და ავანსათ იმდენს მოგცემთ, რომ ადგილობრივათ აღებულ ფასს აღემატებოდეს, ხოლო შემდეგ რა ფასებშიაც გაიყიდება იმას მივიღებთ. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მეაბრეშუმეები შეერთდებიან და პირდაპირ უცხოეთის მექარხნეებთან დაიკავებენ საქმეს, რითაც სავსებით მიაღწევენ თავიანთ მიზანს.

◆ ხუთშაბათს, 7 სექტემბერს, ქალაქში მცხოვრებ ყაზარა ტურაშვილს, რაღაცა მოსაზრებით, თავისი ცოლშვილი მამასთან გაუგზავნია, თვითონ-კი ჩუმათ მთელი თავისი სახლის ავეჯეულობა 150 მანეთათ ღირებული ვიღაცა ჩარჩისათვის მიუყიდნია და სადღაც გადაკარგულა. უპატრონოთ დატოვებულია ცოლი და ორი პატარა სარჩენი შვილი მიზეზი გამოურკვეველია.

◆ გადათარგმნილია და მალე დაიბეჭდება შემდეგი წიგნები: „ნოქართა კითხვა“. „პროლეტარიატი და მისი საბოლოო მიზანი“, „სამოთხე ამ ქვეყნათ უნდა იყოს“ და „ისტორიული იდეალიზმი და მატერიალიზმი“ ლაფარგისა.

## პროვინცია.

**ხაშური**. როგორც დანამდვილებით გავიგე, აქ ხაშურში, არსებობს სიმთვრალის წრე. ამ წრეს სათავეში უდგანან გაბო ტატატაძე და ივანე ბიტაძე. ესენა თავიანთ წევრებს საწევრო ფულებს ახდევინებენ თითო ან ორორ მანეთს და ქეიფს მართავენ. „ურჩ“ ამხანაგებს ბოიკოტით ემუქრებიან: ჩვეულებრივ „პახმელია“ უნდა გაემართათ 5 ივლისს. ამაზე მეთაურებს და წევრებს ლაპარაკი მოუვიდათ და ერთი-მეორეს შორის სახე გაუსისხლიანეს.

დროა, ხაშურის სიმთვრალის მოწინავე მუშებო, შეიგნოთ რომ, ლოთობა უოველ მხრივათ მავნებელია ადამიანისათვის.

ადგილობრივმა ორგანიზაციამ რ. ს. დ. მ. პ. ფურცლებით გამოუცხადა ბოიკოტი ვაჭარს ლადო გრძელოვს, აზნაურს სანდრო ტატიშვილს და დათიკო ბოკერიას. (რკინის გზის ოსტატია) პირველს იმიტომ, რომ ჯაშუშათ ყოფილა ცნობილი და ხელის შემშლელათ განმათავისუფლებელ მოძრაობისა. მეორე ცნობილ შავრაზმელთა ორგანიზატორი ყოფილა, იმისი სახლი შავრაზმელთა ბუდეთ გამხდარა. მესამეს იმიტომ, რომ იანვარში დატუსაღებულის ცოლ-შვილი ქუჩაში გამოუყრია.

როგორც მოსალოდნელი იყო, ბოიკოტი მართად სასტიკათ გაიდა. ბოიკოტის გამოცხადების მეორე დღეს ლადო გრძელოვი იძულებული გახდა მაღაზია დაეკეტა. რადგან არც საყიდლოთ და არც სალაპარაკოთ იმას არავინ ეკარებოდა. სანდრო ტატიშვილი სადღაც გადაიკარგა და დღესაც სად იმყოფება კაცმა არ იცის; ხოლო ბოკერიას სახლში თუ ვინმე იდგა, თავი გაანებეს და სახლი ცარიელი დასტოვეს.

ამის შემდეგ არა სასიამოვნოთ დატრიალდა საქმე. ზოგიერთ გმირების წყალობით: ლადო გრძელოვს შეუყენია „დეპოს“ მუშები (ალბათ სიმთვრალის წრის მეთაურები) და გამოაცხადეს, ლადო გრძელოვს ბოიკოტი ახსნილი აქვსო. ეს ხმა მალე ხაშურს მოედო და ლადო გრძელოვმა მართლაც ისარგებლა ამით. მაღაზიაც გაალო და ვაჭრობაც გააჩაღა.

ადგილობრივი ორგანიზაცია ბოიკოტის გამოცხადების დროს იმასაც აცხადებდა, რომ „ბოიკოტის მოხსნაც ცალკე ფურცლებით იქნება გამოცხადებული-ო“, ეს არ მომხდარა და აღნიშნულ პირებზე ბოიკოტი არც არის ახსნილი; ამიტომ საზოგადოება გალდეიულია, როგორც განმათავისუფლებელ მოძრაობის მომხრე, ორგანიზაციის გამოცხადებულ ბოიკოტს მხარი დაუჭიროს. არაა საყურადღებო ხალხში გავრცელებული ჭორები, ვისაგან უოველივე სიმართლეს მოკლებულია.

თქვენ, გმირებო, ვითომ ბოიკოტის ახსნის მეთაურებო, რაზე დაგჭირდათ ამისთანა ჭორების გავრცელება ხალხში? თუ თქვენ არა ხართ ბოიკოტის მომხრე, შეგიძლიათ ამხანაგობა გაუწიოთ ლადო გრძელოვს; მაგრამ ხალხში რომ გაავრცელეთ სიმართლეს მოკლებული ხმები, ამისი ნება თქვენ არ გქონდათ და მგონია რომ პასუხიც მოგთხოვონ, რადგან თქვენ დღეს მუშებათ ითვლებით.

„მიხეილოვი“.

### რათ ხდება უწესოება ტფილის ელექტრონის ტრამვაიზე.

ტფილისის საზოგადოებამ კარგათ იცის, რა ჭაპან-წყვეტას გამოივლის ხოლმე უოველი ტრამვაიზე მოგზაური. სწორეთ სამადლობელი წირვის გადახდა ეკუთვნის იმ ადამიანს, რომელიც დასაჯდომ ალაგს იშოვნის ვაგონში; თუ ბედმა გაუღიმა და იშოვნა, მეორე ვაგონზე გადაჯდომას ხომ ველარ მოესწრება, ერთის სიტყვით, რაც გინდა საჩქარო საქმე ქონდეს პასაჟირს, დანიშნულ დროს მაინც ვერ შეასრულებს გულის წადილს. რა არის მიზეზი ამ მიმოსვლის ასე გაფუჭებისა, კითხულობს ზოგიერთი. ზოგს გონია, ეს სულ მოსამსახურეების საქმეა, სულ მათი ბრალია. ესენი გათამამდენ და, როგორც უნდათ, ისე იქცევიანო. მტრობა საზოგადოებასა და ტრამვაის მოსამსახურეთა შორის დღითი დღე მწვავდება. უოველ ვაგონის გაჩერებაზე ან დაგვიანებაზე მოთმინებიდან გამოსული პასაჟირები მისცვივდებიან კონდუქტორს, ან ვატმანს და შეიქნება ერთი ჩხუბი, ერთი ვაი-უშველებელი. კონდუქტორი არ უშვებს განსაზღვრულ რიცხვზე მეტს, პასაჟირებიც არ ჩამოდიან. კონდუქტორი თავის მხრივ იძულებული ხდება არ

---

მართ (ხელის შლით). აღარას ჩაუკლებ, რო ქანგიან ნალებში ფული ვხარჯო! (ყველანი იცინიან).

რევაზი. ნუ გავიწყდებათ, რო ის სხვა ნალია! (თითს აიშვერს) ისტორიული, ისტორიული! ეს იმ ცხენის ნალია, რომელსაც ერქვა „ზრდაგი“ და რომელშიაც მნათობმა, ბრძენთა-ბრძენმა მეფემ ინება და უბოძა: ციხე-სოფლები, ყმები და თავადობა!

მართ (ოხვრით). ვაი იმ ყმების ბრალიცა! (ყველანი იცინიან).

ლუარსაბი. ხო... ძიენ შესანიშნავი მეფეები გვყოლია... ხი, ხი, ხი, (ახველებს) რევაზ, აი... (უბიდან გაყვითლებულ ქაღალდებს იღებს) ჩემ სკივრში ვიპოვე. ეს იმის „ღრამატაა“... მეფე-ბაგრატმა რო აუარებელი ყმები და თავადობა გვიბოძა მასპინძლობაში. (აწოდებს რევაზს ქაღალდებს).

მართ. შილაფლავივით კი ურიგებიათ ე თავადობა და!

რევაზი. ეგ მხოლოდ ქართველების გულუხვობას და კეთილობას ამტკიცებს! (ლუარსაბს) ეგ მაშინ მომხდარა, როცა დიდებული ბაგრატ-მესამე მარტოთ-მარტო წამობრძანებულა თრიალეთიდან.

მართ (ლუარსაბს). პაპიროზის ნამწვი მაინც არ დარჩა? მიეცი ამ (რევაზზე უთითებს) საცოდავს! (ყველანი იცინიან).

რევაზი. მაშინ მხოლოდ ჩიბუხსა სწევდენ... (ლუარსაბს) საუცხოვო მასალაა ისტორიულ მოთხრობისათვის! ჩვენი ხალხი სასარგებლოთ წაიკითხავს, სუ რო პოლიტიკურ ეკონომიას ჩასციებიან...

მართ. მაგეებს თავი დაანებოთ, დედოშვილობასა! შენ ეს მითხარ: მალე გამოვა ახალი გაზეთი?

რევაზი. ამ კვირაა. მასალა კიდეც დავამზადე. (აქეთ-იქიდან ეკითხებიან: „რა არი, რა დაწერე ახალი?“).

რევაზი. ჩემ ახალ მოთხრობას ჰქვიან „ეფრემ-მცირე“... (ისმის სიცილი) ეს გაბლდათ, როგორც საქართველოს ისტორია მოგვითხრობს, მეთორმეტე საუკუნის მნათობი კაცი, რიტორი ფილოსოფოსი, ღრამატიკოსი, პიიტიკოსი, მეაქსიომე-ბრძენი, ენა-წყლიანი, უხვ-სიტყვიანი...

მართ (გააწყვეტინებს). დავიჯერო, შენზე მეტს ლაპარაკობდა? (სიცილი).

რევაზი (მრისხანეთ). ვისაც კი ცოტაოდენი მაინც უყვარს სამშობლო, ამისთანა პირებს მოწიწებით და პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს! (მართო ჩაიცინებს) დიახ, მან ააშენა მონასტერი და „წარსდგა მონათა თვისი, ესე ვითარცა ღვაწლსა შინა მყოფსა“... (აქა-იქ ჩუმი სიცილი).

მართ. კარგი, გეთაყვა, წირვა ნუ დააყენე! (ყველანი იცინიან) ავტოკეფალია რო გვექნება, შენ უნდა გაკურთხოთ ეპისკოპოზათ! (უფრო იცინიან) ბ-ნო გიორგი! თქვენ კი არა გაქვთ რა ახალ გაზეთისთვის?

გიორგი. როგორ არა, სტატია. (აქეთ-იქიდან ეკითხებიან: „რა არი, რაზეა?“).

გიორგი. „ნაციონალიზმი ანუ ქვა-კუთხედი პროგრესისა“. ამ წერილში მე ჩვენ დედებს ვუხსნი, როგორი შვილები უნდა გამოზარდონ საქართველოს ასაყვავებლათ, რისთვისაც ვურჩევ ნაციონალურ ნიადაგზე გაუფართოვონ ბავშვებს გონება, ნიჭი, მისწრაფება...

რევაზი. საუცხოვო თემაა, საუცხოვო! დროა ჩვენმა მანდილოსნებმა აიღონ მაგალითი ისტორიულ გმირთა-ქალებისგან: ნინო, ქეთევან, თამარ, რუსუდანისაგან... და მოგვცენ ისეთი უებრო რაინდები, როგორც გიორგი, დავით, ფარნაოზ, არჩილ, ბაგრატი... (ისმის ჩუმ-ჩუმი სიცილი).

მართ. კარგი, გეთაყვა, გული ნუ გაგვიწვრილე! ისტორია ჩვენც ვიცით! ეს საცოდავი ცოცხლებში აღარ ურევია: სუ მკვდრებსა და ძვლებს ეტრფიალება! (ყველანი იცინიან).

რევაზი (თითს აიშვერს). ისტორიას, წარსულს, ჩვენ დიდებულ, სანეტარო წარსულს უნდა ვეტრფიალოთ, ვებლაუქოთ, ვეპოტინოთ; იქ არის ჩვენი ხსნა, ბედნიერება, კულტურა!

ქაიხოსრო. მეც ერთი ლექსი დავწერე და არ ვიცი, როგორ მოგეწონებათ... (აქეთ-იქიდან სთხოვენ: „აბა, აბა წაიკითხეთ“).

აიხოსრო (სიამოვნებით ამოიღებს ნაკეც ქაღალდს და პაფოსით კითხულობს).

„სადა ჰყავს ცალი, მითხარით,
ჩვენს საყვარელსა სამშობლოს?!“

შაქრო (აღტაცებული, გულში ხელს ჩაიკრავს). ოხ! სამშობლო, სამშობლო! შენ შემოგევლოს ჩემი თავი! (ხელების შლით და პაფოსით) „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა! არ გავცვლი მე ჩემ სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!“

მართ (დაცინვით). Ну...у?! არც ჩინ-პაგონებზე, არც ფულიან ქალზე?!. (ყველანი იცინიან).

გამოსვლა მეოთხე.

იგინივე და ილიკო.

ილიკო (ყველას საერთოთ თავს უკრავს). საღამო მშვიდობისა! (მიდის და თამროს და გიორგის ხელს ართმევს, ელაპარაკება).

მართ. ე „სოსია მეკრამიტეც“ ხო მობრძანდა, აბა საქმეს შეუდგეთ.

რევაზი (უსწორებს). „შეუდგეთ“ კი არა, —„დავადგეთ“! (ყველა იცინის).

მართ. მლაშე პატრიოტო! რა მოგივიდა! ეს მაკრატელათ ან ცენზორათ კარგია, ღმერთმანი! (ყველანი იცინიან) შენ გგონია, რაკი შენსავით არ ვყვირი, იმიტომ ნაკლები პატრიოტკა ვარ?! უკაცრავათ, ვერ მოგართვეს! ჩემისთანა მამულიშვილობას ერთიც ვერ დაიკვეხებს! მოსამსახურეც კი ქართველი მიჭირავს! (ისმის ხმები: „მეცა! მეცა!“) ავათმყოფობაა და, რაც უნდა მიჭირდეს, თუ არ ქართველს, არავის მივმართავ! (ისმის ხმები: „მეცა! მეცა! მეცა!“).

რევაზი (სიამოვნებით). ეგრეც უნდა, ეგრეც უნდა! რაც ძალი და ღონე გვაქვს, პირით თუ გაზეთით, სახელი უნდა გაუთქვათ ჩვენს ექიმებს, ვექილებს, ინჟინერებს. (ისმის ხმები: „მაშ! მაშ!“).

გიორგი. ურიგო არ იქნება დაარსდეს ქართველ ექიმთა საზოგადოება... (ისმის ხმები: ხო, ხო! მშვენიერი აზრია!“)

ილიკო (დაცინვით). ესე იგი— ინდიური კასტა!

გიორგი. რათა? (კამათობენ კუთხეში).

მართ (განაგრძობს). თუმცა ქართულ თეატრში სულ გადმოთარგმნილ პიესებსა სდგამენ, რომელიც ორმოცჯერ მინახავს და წამიკითხავს რუსულათ, მაინც ჩემზე ხშირათ იქ არავი დაიარება! (ისმის ხმები: „მეცა! მეც ძიენ მიყვარს ჩვენი თეატრი! მეცა, მეცა!“).

ელენე (ჩუმათ სალომეს). ხა, ხა, ხა! ვამბობ, თორე განა ქართულ თეატრში ფეხი შეიდგმება?! Тамъ вѣчно всякая „хурдамурда“ торчитъ и ничего оригинальнаго не даютъ!

სალომე (აგრეთვე ჩუმათ). ან მე რა წამიყვანს, როცა აქვე რუსული დრამა და იტალიანური ოპერაა ხოლმე! მაშინ აბონემენტნი ბილეთი მომაჩეჩეს, მაგრამ ცხვირიც არ შემიყვია! (ჩუმათ იცინიან).

მართ (განაგრძობს). ფული დამჭირდება და, ისევ იმერელ ჩარჩსა...

რევაზი (გააწყვეტინებს). „იმერელს“ ნუ იძახით! გურული, მეგრელი, სვანელი, იმერელი და სხვა... ქართველები არიან.

გიორგი. რასაკვირველია, გაყოფა როგორ შეიძლება?!

მართ. ხო, იმას ვამბობდი: ისევ ქართველ ჩარჩსა ვრჩეობ; დედ, „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს“ მეთქი! (ისმის ხმები: „მეცა! მეცა!“).

რევაზი (სიამოვნების ნიშნათ ხელებს ისრესავს, ეგრეც უნდა, ეგრეც უნდა! თუ სამშობლო გვიყვარს და მისი ეკონომიური აღდგენა გვინდა, ყველამ ბოიკოტი უნდა გაუკეთოთ სომხებს!

ილიკო. ბოიკოტზე ნუ მივარდება, თორე თუ კარაპეტმა ფასი დასწია, ავთანდილა ფეხებს გაფშეკავს! (საზოგადოებას) ჯერ ავტონომია არ მიუღიათ—ამ „პლანებს“ აწყობენ და რო მიიღონ—ნახე ბაქების აწევა!

რევაზი (განაგრძობს). ვნახოთ, მაშინაც არ გაბრძანდებიან იმ ალაგიდან, საცა ჩვენმა რაინდ-წინაპრებმა სისხლი და ოფლი ღვარეს!

ილიკო. ხშირათ ერთმანეთის შურის ძიებაში!

შაქრო (ხანჯალზე ხელს წაივლებს და თვალების ბრიალით). აბა, ნუ გავლენ და მე ვაჩვენებ სეირსა!

გიორგი. ეგ კი მეტის-მეტია, შოვინიზმია!

ილიკო (იქით). ესეც მხოლოდ ავტონომიის მიღებამდი ლიბერალობს.

რევაზი (გიორგის). რა „შოვინიზმი“?! ჩვენ სისხლსა სვამენ სომხები! იმათი დიაკვნები ჩვენ ისტორიულ ნაშთებიდან (ისმის სიცილი) ქართულ წარწერებს შლიდენ და თავიანთსას აწერდენ! იმათმა ვაჭრებმა ხო სული ამოგვხადეს და ტყავი გაგვაძრეს! (კნეინა ელენე, სალომე, თ-დი ლუარსაბი, შაქრო... ბანს აძლევენ).

გიორგი. სომხის ხალხი ხო მარტო ბურჟუაზიისაგან არ წარმოსდგება?.. მეორეც ესა: მე პრინციპიალურათ ძალ-მომრეობას არ ვეთანხმები. გარდა მაგისა, ჩვენივე ინტერესები მოითხოვს იმათთან კავშირს საერთო მტერთან საბრძოლველათ.

დასძრას ვაგონი, მანამ განსაზღვრულ რიცხვზე არ დადგება პასაჟირთა რაოდენობა. პასაჟირებიც თავის მხრივ არ ჩამოდიან. თვითეული მათგანი გაიძახის: მე მეჩქარება და არ ჩამოვალთ. ამასობაში უკანა ვაგონები ერთათ იურის თავს; ვთქვათ, მარჯვენა ლიანდაგზე და მარცხენა ლიანდაგზე კი ვაგონი აღარ არის. მთელი დღე განუწყვეტლივ ეს ამბავი მეორდება; ერთი და იგივე ჯოჯოხეთი, ჩხუბი, ლანძღვა და გინება პასაჟირთა და მოსამსახურეთა შორის, რაც ძალიან სამწუხაროა ყველასათვის. ჩვენ პასაჟირებს ვაბრალებთ ისინი ჩვენ გვაბრალებენ; ვერც ერთს ვერ გამოვგიძებნია წამალი ამ უთვალავ დღიურ კონფლიქტების თავიდან ასაცდენათ. წარმოიდგინეთ, რომ არც მოსამსახურეები ვართ დამნაშავე და არც პასაჟირები! აქ არის დამნაშავე იგივე დირექცია, რომელიც დაინტერესებულია მხოლოდ ხალხის ყვლეფაში და თუ მოსამსახურეები და პასაჟირები და პასაჟირები ერთმანეთს თავს და პირს დაამტვრევენ, ეს იმისთვის უმნიშვნელოა.

ზოგმა შეიძლება გვითხრას, რატომ განსაზღვრულ რიცხვზე მეტ ხალხს არ უშვებთ ვაგონებშიო? საქმე აი რაშია: 1) როცა პასაჟირები განუსაზღვრელათ სხდებოდენ, იყო თუ არ იყო ადგილი ვაგონში, კონდუქტორს გზა აღარა ქონდა, რომ ბილეთები დაერიგებინა. თუ ეტყოდა კონდუქტორი რასმე, ყურს არავინ უგდებდა. ზოგს კიდევ გაქანებული ეტლის ღერძი ხვდებოდა ფეხში, ზოგი ვაგონიდან ხტებოდა და ასე ამგვარათ ხდებოდა ათასგვარი უბედურებანი. თუ რამ უბედური შემთხვევა მოხდებოდა, კონდუქტორი იყო პასუხის მგებელი. და ასე კაპიტალისტის გაუმაძღრობის მსხვერპლი ხდება ან კონდუქტორი ან ვატმანი და ან პასაჟირი. 2) რომ კონდუქტორი ბევრი პასაჟირის დროს ბილეთების დარიგებას ვერ ასწრობს, ან ძველი ბილეთით ჯდება ვინმე ისე, რომ მოსამსახურე ვერ ამჩნევს, ან უბილეთოთ რჩება ვინმე. ყველა ამაზე კონდუქტორმა პასუხი უნდა აგოს კონტროლის და ხაზეინის წინაშე. და სწორეთ ამ პატივსადებ მიზეზისა გამო არ ვუშვებთ პასაჟირებს ვაგონში იმაზე მეტს, რაც ეტევა.

მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ საქმე უარესათ დატრიალდა. ხალხს ვაგონები არ ყოფნის, ხალხი ბევრია ვაგონები ცოტა. თითო პასაჟირს თითო საათი უნდება ცდა, როდის ეღირსება წასვლა. თუმცაღა საზოგადოებამ იცის, რომ მეტის მიღება, რაც ვაგონზე არ დაეტევა, კონდუქტორს არ შეუძლია. მაგრამ რა ქნას კაცმა როცა ეჩქარება, მოთმინებიდან გამოდის და რეგოლიუციონურის გზით იჭერს ადგილს, ან სკამზე ან ვაგონის უკან დასადგომზე. და რამდენიც გინდა უმტკიცოს კონდუქტორმა, გინდა პასაჟირმა, არაფრის გულისათვის აღარ ჩამოდის. რა ვქნათ? ნუ თუ ასე უნდა ვიტანჯოთ ყველა? ნუ თუ ასე უნდა გვლიჯოთ ერთმანეთი ჩვენ კონკის მუშებმა და პასაჟირებმა და კაპიტალისტმა კი ჯიბეები იქქლოს?! მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, ჩვენ, მოსამსახურეებს, არავითარი ბრალი არ მიგვიძღვის ამ მიმოსვლის არევ დარევაში, პირიქით ერთი ორათ უფრო სიდუხჭირეში ვცვივდებით, სხვა რომ არა იყოს რა, პასაჟირებთან ყოველ წუთს ჩხუბმა სიკვდილი გვანატრა. დამნაშავე ჩვენა ვგონივართ, ყველა ჩ ენ გვეჩხუბება, მაგრამ დამნაშავე აქ ვაგონების სიცოტავეა. ხალხი აგარაკებიდან ჩამოვიდა, წინანდელი ნორმა ვაგონებისა აღარა ყოფნის. ჩვენ არა ერთხელ მივმართეთ დირექციას ვაგონები მოემატებინა, მაგრამ ყური ვინ გიგდო? ან და ნუ თუ არ იცის ეს დირექციამ? იცის კარგათ, მაგრამ რა ენაღვლება? სულ ერთია, პასაჟირი უკონკოთ მაინც ვერსად წავა საჩქარო საქმეზე და ვაგონები რომ მოუმატოს, მუშებიც უნდა მოუმატოს; ფული მეტი გაუვა. ასე უფრო არა სჯობია: გასავალი ცოტა, შემოსავალი მეტი, ხალხი თუ დაიტანჯება, ეს იმისთვის არაფერია. ან და რას აკეთებს ის მიმოსვლის კომისია, რომელიც სპეციალურათ ამისთვის არის დანიშნული? ნეტა რას ვამბობ! ისინიც ხომ დირექციის ყმები არიან, ჯამაგირს მსუქანს იღებენ, და გიჟები არიან ხაზეინის რისხვა დაიმსახურონ?

ამით ვათავებ და მივმართავ საზოგადოებას. რადგან ჩვენა თხოვნა თხოვნათ დარჩა და არ გვიგდეს ყური, ეხლა თვითონ საზოგადოებამ ითხოვოს და პირდაპირ მოსთხოვოს და არა სთხოვოს, რადგან თხოვნა აღარ გადის, ვისაც ჯერ არს, მოუმატონ ყველა ქუჩებზე საკმაო რიცხვი ვაგონებისა, ვინაიდან კონკაც და დირექციაც ხალხისთვის უნდა იყოს და არა ხალხი დირექციისთვის. მხოლოდ და მხოლოდ ამ საშუალებით აგვცილდება ეს ჭაპან-წყვეტა და ვაუშვებელი.

—

ვთხოვ რუსულ და სომხურ გაზეთებს გადაბეჭდონ, თუ ვრცლათ არა, მოკლეთ მაინც, ეს წერილი, რომ რუსმა და სომეხმა საზოგადოებამაც გაიგოს ნამდვილი საქმის ვითარება.

ტრამვაის მოსამსახურე ა. რაჭველი.

## ამხ. ვანო მაღრაძის ხსოვნას

(წლის თავის გამო)

ერთმა ძლმა განვლო მას შემდეგ, რაც ვერაგ უჩადების ხელით გულ განგმირული, უსულოთ დაეცა ბრძოლის ველზე. ძვირფასი ამხანაგი ვანო მაღრაძე. ის მოკლეს გასულ წელს აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში სადგ. მარელისს ახლოს.

ამხ. ვანოს, როგორც პატიოსან მუშაკს, თავდადებულ მებრძოლს, დიდი სიმპატია ქონდა მოპოვებული ბელაგორის რაიონის როგორც რკინის გზის მუშებში, ისე გლეხებშიაც. ამიტომაც იყო, რომ ამ უკანასკნელთ არ გამოეპარა ძვირფასი ამხანაგისათვის პატივისცემა გამოეხატათ წლის თავის გადახდით.

სამ სექტემბერს, დღით კვირას ადგილობრივ ს. დ. ჯგუფმა გამოსცა ამ მიზნით ფურცლები, სადაც მოუწოდა როგორც რკინის გზის მუშებს, ისე გლეხებს შეკრბილიყვნენ სოფ. ლედვანში, სადაც ვანო მაღრაძე დასაფლავებული. მოწოდებას, როგორც მოსალოდნელი იყო, ხალხი დიდის თანაგრძნობით შეხვდა. დილით ადრე, სოფლები დაიძრა თავ-თავიანთ კუთხიდან დანიშნულ ადგილისაკენ. „პანაშვიდის“ გადახდის შემდეგ ჰაერში წითელი დროშა აფრიალდა და მარსელიოზის გუგუნი გაისმა. გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სოც. დ-მა.

დამსწრეთაგანი

## წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნ რედაქტორო!

თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო შემდეგი: თქვენ პატივცემულ გაზეთ „ცრიცალი“ს პირველ ნომერში მოთავსებული ვალაც „შანტაჟისტის“ წერილი, რომლითაც ფულს სთხოვს ქუთაისში მცხოვრებ ანდრო აბესაძეს, ჩემდა განსაცვიფრებლათ წერილის ბოლოს ჩემი ადრესია მოყვანილი, და წერილის ავტორი თხოულობს ამ ადრესით ფულის გამოგზავნას. როგორც გამოვიკვლიე, წერილის ავტორი გიორგი აბესაძე ყოფილა და კიდევაც გამოტყდა, რომ მას მიუწერია წერილი. ასეთ საზიზღარ მოქმედებისათვის აბესაძეს ღირსეულ მსჯავრს დასდებენ. ჩემი მხრით ვაცხადებ, რომ მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია არც წერილის შედგენაში და არც ჩემი ადრესი მიმიცია აბესაძისათვის.

გიორგი ყველაშვილი.

## „ჩვენი ცხოვრების“ ფოსტა.

**საჩინოელის.** თქვენი ლექსი დასაბეჭდათ ვერ მოვიწონეთ...

**ქვრივს მზეხა ყუბანიევისას.** ვწუხვართ, თუ ჩვენი კორესპოდენტის ცნობა თქვენ შესახებ ცილის წამება იყო. მაგრამ თქვენს წერილს-კი ვერ დავბეჭდავთ, რადგან არავითარ დამარწმუნებელ საბუთს არ შეიცავს.

# დეპეშები

(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტო).

7 სექტემბერი.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის ტუსაღთა გადამგზავნ სატუსაღოს უფროსმა თხოვნით მიმართა სათანადო მთავრობას პასუხისგებაში მისცენ გაზეთ „რეჩ“-ის რედაქტორი, სატუსაღოს შესახებ ყალბ ცნობების გავრცელებისათვის.

**მიტავა.** ფილდინსკის მაზრაში დაიჭირეს ტერორისტი, რომელმაც დაჭერის დროს რამდენიმე გლეხი დაჭრა და მოკლა. გაბრაზებული გლეხები დაჟინებით თხოულობდენ დამნაშავის გადაცემას, რომ თავიანთ ხელით დაეგლიჯათ.

**რიგა.** ნემეცურ გაზეთებში ახალგაზდებისადმი მოწოდებაა დაბეჭდილი რომლითაც მოუწოდებენ ახალგაზდა ნემცებს დაიცონ სამშობლო ადგილები კურლიანდია საერთაშორისო სოციალდემოკრატიის რაზმების თავდასხმისაგან. მოწოდებაში ნათქვამია, რომ მშვენივრათ შეიარაღებული ბრბოები სწვავენ და ანადგურებენ ყველაფერს და ჩვენი სამუდამოთ მოსპობა უნდათ,— საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩვენ წინ ყოფნის ან არ ყოფნის საკითხი დგასო. უკეთესი მზათ გვაქ თავის დასაცველათ და მხოლოდ თქვენ გელოდებითო.

**გროდნო.** გაზეთებში მოთავსებული დეპეშა 5 სექტემბრიდან დუსკენიდან გაზვიადებულია: დუკორიცში გლეხებსა და პოლიციას შორის მომხდარ შეტაკების დროს მოკლულები არ არის. დაჭრილია მხოლოდ ორი, ერთს ხელი აქვს მოტეხილი და მეორე მსუბუქათაა დაჭრილი ხმლით. გუბერნატორის განკარგულებით გამგე კონი.

**ხარბინი.** მდინარე სუნგარზე ბერძოს საქონლით დატვირთულ გემებს თავს დაესხა ხუნხუზები. საზღვრის დარაჯების ორი სოტნა გაგზავნეს.

**ვარშავა.** კრახმალნი და ვიოონი ქუჩების მოსახვევში ბოროტგამზრახველმა გამთართვა რევოლვერი თანხლებ ქალს და ათჯერ ზედიზედ ესროლა გამვლელ პატრულს. სალდათებმაც ესროლეს, დასჭრეს ქალი და დაიჭირეს. ბოროტგამზრახველი გაიქცა. სალდათები უვნებლათ გადარჩნენ.

**კიევი.** სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზის სადგურ ვასილკოვ-მირინოვსკის ახლო ბოროტგამზრახველებმა მგზავრები გაძარცვეს ფოსტას დარაჯები დაუგებიან.

**პეტერბურგი.** საგანგებო დაცვის წესების ძალით შეჩერებულ იქნა გაზეთი „გოლოს ტრუდა“,ი და „ჟურნალ დლია ვსეხ“, დაიჭირეს ჟურნალ „რუსკოე ბოგატსტვოს“ მერვე წიგნი.

**ვალისკოვი.** „კიევლიანინის“ ცნობა თითქო ფოსტაში დაჭერილი, რომელსაც ხუთი ყუმბარა უპოვნეს, ებრაელი იყოს—ტყუილია. დაჭერილი სოფელ რომანოვკის გლეხი ჩუპრონი აღმოჩნდა.

**ვარშავა.** ღამით პროსტოი ქუჩაზე გაჩხრიკეს რობიცკის ბინა. რობიცკიმ რვაჯერ ზედიზედ რევოლვერი დაახალა, დასჭრა ქალის ზედამხედველი სიპოვიჩი და გაქცევა მოინდომა, მაგრამ სალდათებმა დასჭრეს და დაიჭირეს.

**რეჟიცა.** ღამით გაძარცვეს და დასწვეს სახელმწიფო არყის დუქანი. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით სამხედრო-საველე სასამართლო დარსდა.

**ვარშავა.** ვარშავის ახლო სუდოვაის მამულში მივიდნენ 18 შეიარაღებული ახალგაზდები, ბრაუნინგის რევოლვერებით ზალპი მისცეს მერბედის სახლს, დასჭრეს მემამულის ცოლი. სკვინსკისა, წაიღეს რაც რამ ძვირფასი იყო და გაიქცნენ.

**პეტერბურგი.** სამხედრო საოლქო სასამართლომ მუშა ბოგრანოვს, რომელმაც 24 ივლისს გოროდოვოი მოკლა, დახვრეტა გადაუწყვიტა და თან შუამდგომლობა აღძრა სიკვდილით დასჯა 20 წლის კატორღით შეუცვალონ.

**სედლეცი.** (ოფიც.) როგორც ნამდვილათ გამოიკვლიეს უკანასკნელ არეულობის დროს მთავარ ქუჩებზე, სადაც 206 მაღაზია დაუმტვრევიათ, 41 და ხუთი დამწვარა. გვერდის ქუჩებში 24 დუქნიდან 6 დაუმტვრევიათ. გენერალ-გუბერნატორმა საგალდებულო დადგენილება გამოსცა, რომლის ძალითაც აკრძალული აქვთ ათი ფეხის ნაბიჯზე მიუახლოვდენ მოდარაჯე სალდათებს, და უკეთუ მოითხოვეს სალდათებმა წარუდგინონ პასპორტები. რაკი საწენარია, ნება დართეს 10 საათამდე ივაჭრონ.

**ელისავეტგრადი.** გუშინ ღამის ათ საათზე 20 შეიარაღებული მძარცველი მივ და დუცის მამულში. ზარი დარეკეს და როცა ლაქაი გამოვიდა იქვე მოკლეს. შემდეგ შეიჭრნენ სახლში და მოსთხოვეს დუცის ფულები. დუცმა გასაღებები გადასცა. მძარცველებმა მოკლეს დუცი, წაიღეს 300,000 მან. და უბრძანეს მოსამსახურეებს ეტლი შეებათ მათთვის, ჩაბრძანდნენ შიგ და წავიდნენ. ეტლი და ცხენები ელისავეტგრადში იპოვეს.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის უნივერსიტეტში ლექციების კითხვა დაიწყო.

**გონკონგი.** საშინელი „ტაიფუნი“ ამოვარდა, დაიღუპა 5000 წინელი, ზარალი 10 მილიონი დოლარი იქნება.

**პეტერბურგი.** ტყუილია გაზეთების ცნობა თითქო ჟანდარმთა კორპუსის უფროსათ დედულინის მაგივრათ პეტერბურგის გრადონაჩალნიკი ლაუნიცი ინიშნებოდეს.

**ოდესა.** სამხედრო-საველე სასამართლომ ლეონ ტარლეს გოროდოვოის და მეეზოვეს მოკვლისათვის და ერთი გოროდოვოის დაჭრისთვის დახვრეტა გადაუწყვიტა. განაჩენიდეს მოიყვანეს სისრულეში.

**რიგა.** უკანასკნელ ხანებში დაიჭირეს ლატიშების კავშირის კომიტეტის წევრები, რიცხვით 45 კაცი. იპოვნეს ყუმბარა, ასაფეთქებელი ნივთიერებანი და 115 პასპორტის ბლანკი.

**პეტერბურგი.** დღეს ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში მრავალი ხალხი დაიჭირეს. აფიცერსკი ქუჩაზე დაიჭირეს ოლგა პეტროვა. მისი ბინის გაჩხრეკის დროს საყურადღებო მიწერ-მოწერის ქაღალდები აღმოაჩინეს, რომლითაც რევოლიუციონერთა მებრძოლ რაზმის კვალს მიაგნეს.

**კიევი.** პოლიციის ზედამხედველი ჟდანოვსკის, რომელსაც 1905 წელს საპოლიციის ჯგუფებში მონაწილეობის მიღებისთვის სიკვდილით დასჯა ქონდა გადაწყვეტილი, სიკვდილით დასჯა უვადო კატორღით შეუცვალეს.

**თეირანი.** გამოცხადდა სპარსეთის სახელმწიფო დუმის დებულება: საარჩევნო უფლება აქვს ყველას წერა-კითხვის მცოდნე სპარსეთის ქვეშევრდომს მამაკაცებს 30 წლიდან 70 წლამდე, რომელიც სახელმწიფო სამსახურში არაა და სამართალში არ ყოფილა მიცემული. სპარსეთი დაყოფილია 12 საარჩევნო ოლქათ; თეირანი მეცამეტე ოლქათ ითვლება 60 დეპუტატით. პროვინციიდან დეპუტატთა 96. სულ 156. არჩევნები პროვინციებისთვის ორ ფორმულიანია და თეირანისთვის კი პირდაპირი. დეპუტატები ორი წლით ირჩევიან. დეპუტატთა პიროვნება ხელშეუხებელია. დეპუტატებს დასაჩუქრებლა დუმის საქმეა. პრეზიდენტი, ორი ვიცე პრეზიდენტი და ოთხი მდივანი ერთი წლით ირჩევიან. დუმა გაიხსნება თეირანის დეპუტატების არჩევისთანავე პირველი კრება შაჰის თავმჯდომარეობით მოხდება.

8 სექტემბერი.

**ვიატკა.** (ოფიც. კორესპ.) სათადარიგო ჯარის სალდათების შემოწმების დროს მალმიჟის მაზრაში მოუკლავთ ურიადნიკი და ექვსი დარაჯი. სასიკვდილოთ დაუჭრიათ ისპრავნიკის თანაშემწე. არეულობის მიზეზათ იმას ასახელებენ, რომ გლეხებს ძლიერ უკმაყოფილო იყვნენ პოლიციის, აგიტატორის დაჭერისთვის—როგორც ამბობენ ებრაელის.

**ვარშავა.** ტყუილია გაზეთ „ბირჟევია ვედომოსტი“-ში და „რეჩ“-ში მოთავსებული დეპეშა, თითქო მოკოტოვში არსენალს თავდასხმოდეს 30 შეიარაღებული კაცი. იქ არსენალი არ არის. ტყუილია აგრეთვე ის დეპეშაც თითქო 1000 მუშა დაეჭიროთ და 12 ზარბაზანი მოეტანოთ. დღევანდელი დღე გამონაკლისათ უნდა ჩაითვალოს: დღეს არც ძარცვა-გლეჯა და არც მკვლელობა არ მომხდარა.

**მინსკი.** ვილნის სამოსამართლო პალატის პროკურორის სახელზე შედგენილ ყალბ ქაღალდით სატუსაღოდან გაანთავისუფლეს პოლიტიკური დამნაშავე ქალი ტეპპერი, რომელიც ყუმბარების შენახვისთვის იჯდა ციხეში. როცა პროკურორმა ცნობა მიიღო ტუსაღის განთავისუფლების შესახებ, მაშინვე დეპეშით აცნობა ციხის ადმინისტრაციას მე ასეთი განკარგულება არ მომიხდენიაო. ტეპპერს ეძებენ, მაგრამ ჯერ ვერ უპოვნიათ.

**ელისავეტგრადი.** პოლიციამ დაატუსაღა 19 წლის ახალგაზდა, რომელმაც თავისთვის თოფდოსი სემჩენკო უწოდა. 7 სექტემბერს მოკლულ მემამულე დუცის ლაქიამ და მეეტლემ იცნეს ის, როგორც ერთი თავდამსხმელთაგანი. სემჩენკოს სამხედრო-საველე სამართალში აძლევენ.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტების და თავისუფალ მსმენელთა რიცხვი ამ ჟამათ 3632-მდე ავიდა. პირველ კურსზე სულ 3667 სტუდენტია. და 714 თავისუფალი მსმენელი, მათ შორის 150 ქალი. მიუღებელი დარჩა 1000 კაცი. მათ შორის 600 ქალი.

**ვარშავა.** დაიჭირეს მებრძოლ რაზმის რამდენიმე წევრი და სახელმწიფო არყის დუქნების გამძარცველები. თვორთოვნი ქუჩაზე საიდუმლო სტამბა და ცოვარნი ქუჩაზე იარაღის საწყობები აღმოაჩინეს.—გოლდნი ქუჩაზე სამი უცნობი თავს დაესხა პოლიციის აგენტს და მისი მოკვლა უნდოდათ. პატრულმა ერთი მათგანი დაიჭირა, რომელსაც ბრაუნინგის რევოლვერი აღმოაჩნდა. ჩურჩიაკოვსკის ქუჩაზე აბრამუვის ფაბრიკის მეპატრონეს თავს დაესხა რვა ბოროტ-გამზრახველი და 600 მანათი წაართვეს. დაბთრის რკინეულობის ქარხანა გაჩხრიკეს. ბევრი დაიჭირეს.

**პეტერბურგი.** რვა სექტემბერს ქალმა და კაცმა ყუმბარა შეაგდეს № 4 სახლის ეზოში დომნინი ქუჩაზე. ყუმბარა გასკდა, მაგრამ არავინ დაშავებულა, ბოროტგამზრახველნი გაიქცნენ.

**კელცი.** სიკვდილით დასაჯეს ანდრეევსკის მაზრაში დაჭრილი ორი დამნაშავე.

**სამარა.** მათნიკოლაევსკის სადგურზე მოიპარეს რკინის კასა. რომელშიც 2135 მანეთი იყო და პაპირა ყუთი სხვა და სხვა დოკუმენტებით.

**პეტერბურგი.** უმუშევართა დამხმარე კომისიას აპრილიდან სექტემბრამდე სურსათისთვის დაუხარჯავს სულ 379549 მანეთი, ბინისათვის 113425 მანეთი.—7 სექტემბერს ღამით ტრანშტადტში დაატუსაღეს ადვოკ. დობროვი სოციალ-რევოლიუციონერთა მებრძოლ რაზმის 14 წევრი, რომლებიც ყალბი პასპორტებით ცხოვრობდენ. დაჭერის დროს იპოვნეს პარტიის მიწერ-მოწერის ქაღალდები.

**ბაქო.** გაზეთებში ჯგუფ „ტერორ“-ის წერილია მოთავსებული, სადაც ისინი აცხადებენ რომ ჯგუფი დაშლილია და დღეიდან ჯგუფის სახელით წარდგენილი მოთხოვნები შანტაჟისტობაა.—დაიჭირეს ანარქისტ-კომინისტების მეთაური პეტრე, მტერნი პოლიციის გადასცეს. მან მიინდომა გაქცევა, მაგრამ კაზაკებმა მოკლეს.

**მიუნხენი.** ღამით მეფის სალაროდან მოიპარეს 13000 მარკა ოქრო. ბოროტგამზრახველნი საკანალიზაციო მილიდან შეძვრენ სახლში.

რედაქტორ-გამომცემელი ერ. ჩანტლაძე.

---

ილიკო (საზოგადოებას). მოკავშირე—„დროშაკისტ-დაშნაკცაკანები“, მტერიც—მუშა, სოციალდემოკრატები!

რევაზი (გიორგის). მაგათზე უარესი მტერი ვინღა გვყავს?! ვინც მაგათთან მეგობრობას მოითხოვს, სამშობლოს პირველი მოღალატე ის არი! მაგას მხოლოდ სოციალდემოკრატები თუ იტყვიან, რომელნიც თავიანთი უგუნური პროპაგანდით ხვალ თუ ზეგ ანდერძს აუგებენ მთელ ეროვნებას!

ილიკო (წამოხტება და—აღშფოთებული). სოციალდემოკრატები კი არა, თქვენისთანა კაცი—მჭამლები წარმოადგენენ ეროვნების და მით მთელ კაცობრიობის უბედურებას! თავად-აზნაურების ინტერესების დასცველათ თქვენ ქადაგებთ სომხების წინააღმდეგ იმას, რაც ბიუროკრატიამ იხმარა მათ ამოსაელეტათ ბაქოში, ნახიჩევანში, შუშაში. და კიდეც გამოიწვევდით ისეთ შედეგს ახლა ქართველებში, რომ ჩვენ, დიახ, ჩვენ, სოციალდემოკრატები კრიჭაში არ გიდგეთ და ინტერნაციონალური იდეა არ შეგვქონდეს ხალხში! (ატყდება საშინელი ყვირილი და ჩოჩქოლი: „ვინა, თქვენ?! თქვენ თუ თვითონ ჩვენი ხალხია გულკეთილი, კაცთ-მოყვარე“!)

რევაზი (გაცოფებული). ეს შეურაცყოფაა! ცილისწამებაა! მთელი ნაცის დამცირებაა! ჩვენი ხალხი ეგრეთი პირუტყვი არ არი!

ქაიხოსრო. ეს სამშობლოს ღალატია!!!

ფეფო (იქით). ბანი მივცე—მგონი, საქმე რიგდება! (მძლევს ბანს) საშინელებაა, ვეთაყვე, საშინელებაა!

მარო (ილიკოს). ჭკუას ძალას კი ნუ ატან! გესმის კი რასაც სთქვი?!

გიორგი (ილიკოს). ხალხის ინტერესების დაცვა მონოპოლიათ გაგიხდიათ და მათვე კი მაგისთანა ლაქაბს სცხებთ!

ილიკო (დაცინვით) დიახ, თქვენსეეფ, კომპლიმენტებს არა უკუთებთ, არა ვდემაგოგობთ მათი თვალების ასახვევათ! (ისმის ხმები: „აბა დემაგოგები თქვენა ხართ, რო მუშების დიქტატურას ქადაგებთ!“) საქმე იმაშია, რო ხულიგანი და უგუნური ელემენტი ყველგან მოიპოება. რათა გგონიათ, რო ქართველი რუსსა სჯობიან, ან... (ისმის რამდენიმე ხმა: „მაშ არ იცით?! ქართველი თავის დღეში არც ურიას და არც არავის დაცლეტს?!“) კიდეც ეგ არი, უბედურობა, რო თქვენი პატრიოტიზმი გამოიხატება სამშობლოს დიდებაში და მეზობლების დამცირებაში! თქვენ გიყვართ და აქებთ მას, რაც ნამდვილი ქართულია, თუგინდ იგი ნაკლულევანებაც იყო! თქვენთვის ლედელი-ბერი, თავადი, ვაჭარი ჩინოვნიკი... ძვირფასია, ოღონდ ქართველი კი იყოს! ტყუილათ კი არა ბრძანდებით ბურჟუაზიის იდეოლოგებ, ტყუილათ კი არ გინდათ ავტონომია! (ატყდება უფრო საშინელი ჩოჩქოლი და ყვირილი: „პირი გამოირეცხეთ და ავტონომია ისე ახსენეთ!“)

სალომე (ჩუმათ, ელენეს). ეხლა შენი კრებაა! როცა ავტონომიაზე დაიწყეს, დილამდი აღარ გაათავებენ!

ელენე. да, да! ერთმანეთს დასჭამენ! ხა, ხა, ხა! очень интересно!

გიორგი (ილიკოს). თქვენ რომ გესმოდეთ, რა არის ეროვნული ავტონომია, მაგას თავის დღეში არ იტყოდით!

ილიკო (დაცინვით). ერთი გაგვანათლეთ, пожалуйста!

რევაზი (პირში სწვდება). რუსული! (ყველანი იცინიან).

ილიკო (დაცინვით). აიქა, საქართველო დაიღუპა! (ისმის ყვირილი: „მაშ არ იცით, რო დაიღუპება?! მაგრამ სოციალდემოკრატებს ხო დედა-ენაც არა გწამთ!“).

მარო (დაცინვით). რათ უნდათ! ერთი ლუკმა პური ურჩევნიათ!

ილიკო. ვინ მოგახსენათ რომ ჩვენ ენას უარვყოფთ? ენა ხომ ერთათ-ერთი უმთავრესი იარაღია, რომლითაც ხალხში ვავრცელებთ ჩვენ რწმენას. მაგრამ ენა თქვენ სეეფ მიზნათ კი არ მიგვაჩნია, არამედ—საშუალებათ, ხალხთან კავშირათ.

მარო. ჩემისთანა დემოკრატკა არავინ არი, დიდათ თაყვნსა ვცემ თქვენ მიმართულებას, ბევრი ღვაწლიც მიგიძღვით მშრომელ ხალხის წინ, მაგრამ მაგაში კი თავის დღეში არ დაგეთანხმებით, ეროვნებას უარყოფთ, სამშობლო არა გწამთ!

ილიკო. საქმე იმაშია, ვის როგორ ესმის ეროვნება, ჩვენ ვიბრძვით ეროვნების უმეტეს ნაწილის საკეთილდღეოთ (ისმის ხმები: „თუ საუბედუროთ?!“) და, მაშასადამე, ჩვენ უფრო შეგვეფერის პატრიოტების სახელი, ვიდრე თქვენ! (ისმის სიცილი და ხმები: „ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო!“) მაგრამ დიდი სიამოვნებით გითმობთ მაგ სახელს, ლაქაბ მიგვაჩნია მაგის ტარება, რადგან პატრიოტულ მანტიაში ხშირათ ეხვევიან ყველა მოშენიკები, სპეკულიანტები, ხულიგანები, კარიერისტები, მოქრთამენი (ქაიხოსრო უკან გაიწევს) ბურჟუები, ხალხის მყვლეფელები, საქვეყნო მოქმედი ჯამბაზები... (ისმის სტვენა: „სს!.. შშ!.. სს!.. შშ!“).

ელენე (ჩუმათ, სალომეს). ეს ხო ჩვენზე სთქვა „акробаты благотворительности“! ხა, ხა, ხა! про насъ ей-Богу, სალომე, про насъ!

სალომე (ამაყათ). უნდა მიჰქაროს! ყურს ვინ უგდებს?

ილიკო (განაგრძობს). ერთი სიტყვით, პატრიოტობენ და თავის თავს „სამშობლოს ბურჯებს“ უწოდებენ ისინიც კი, ვინც მზათ არიან ხელვე ექვს, შაურათ, ან ეგნგიან „მენდალზე“ გაჰყიდონ თავის სამშობლო! (თავს უკრავს და გადის. სურათი).

ფარდა.

ნ. აზიანი.